

თეიმურაზ ჩხენკელი

2005-2006 წლების შრომები და შრომების სრული ნუსხა

თბილისი 2006

## სარჩევი

### შრომები 2005-2006 წწ.

1. ჯგერენაია, ე., ჩხენკელი, თ., აფრიდონიძე, გ., ვარამიშვილი, გ. ელექტრონული ბიბლიოთეკა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში // ბუნებრივ ენათა დამუშავება: ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. III კონფერენციის მასალები (თბილისი, 29 ივნისი – 1 ივლისი 2005). – თბილისი, “ქართული ენა”, 2005. – ტექსტი ქართ. და ინგ. ენ. - გვ. 37-38 - ქართ., 49-50 - ინგლ.
2. ჩხენკელი თ. საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი // საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2005. - № 3. – გვ. 65-66.
3. აბაშიძე, ზ., ჩხენკელი, თ. ბიბლიოთეკის ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასება // საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2005. - № 4. – გვ. 6 – 10.
4. აბაშიძე, ზ., ჩხენკელი, თ., ჯგერენაია, ე. ციფრული კოლექციების განვითარება საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში // ბუნებრივ ენათა დამუშავება: ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. IV კონფერენციის მასალები (თბილისი, 2006 წლის 5-6 დეკემბერი). – თბილისი, 2006. – ტექსტი ქართ. და ინგ. ენ. - გვ. 5 -8 - ქართ., 26 - 29 - ინგლ.
5. ჩხენკელი, თ. ელექტრონული ბიბლიოთეკები ინტერნეტში (შინაარსი:1. ინტეროპერაბულობა და სემანტიკური ვები, 2. ევროპული ბიბლიოთეკა და ევროპული ციფრული ბიბლიოთეკა, 3. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა) // მოხსენება კონფერენციაზე „ბუნებრივ ენათა დამუშავება: ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები“ 5 დეკემბერი 2006
6. აბაშიძე, ზ., ჩხენკელი, თ. საინფორმაციო ტექნოლოგიები მსოფლიოს ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში // საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკის შრომები. - იბეჭდება
7. ჩხენკელი, თ. ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის ფონდის მე-20 საიუბილეო ყრილობა: სანკტ-პეტერბურგი 2006 // საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკის შრომები. - იბეჭდება, იხ. აგრეთვე: <http://www.nplg.gov.ge/ge/sponsors/CENL.pdf>

### შრომების სრული ნუსხა

## შრომები 2005-2006 წწ.

1. ე. ჯგერენაია, თ. ჩხენკელი, გ. აფრიდონიძე, გ. ვარამიშვილი  
საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა

### ელექტრონული ბიბლიოთეკა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საქართველოში ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციასთან ერთად ეროვნული ბიბლიოთეკის მაშინდელი გენერალური დირექტორის ბ-ნ ლევან ბერძენიშვილის ინიციატივითა და მხარდაჭერით 2001 წლიდან დაიწყო ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა (<http://www.nplg.gov.ge/ic/aboutus.htm>). ამ წამოწყებამ საქართველოში ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოიპოვა და გამოჩნდნენ სპონსორებიც (<http://www.nplg.gov.ge/ic/sponsor.htm>), რომელთა ხელშეწყობით მოხდა ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ტექსტების ცენტრის თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა.

სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაში მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გარდატეხა მოხდა 2004 წელს იუნესკოს მოსკოვის ოფისთან (<http://www.unesco.ru/eng/articles/2004/masha08072004150943.php>) დადებული ხელშეკრულების შემდეგ. ხელშეკრულების ფარგლებში ათვისებულ იქნა გრინსტონის ციფრული ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფა (<http://www.greenstone.org/cgi-bin/library>) და შეიქმნა მისი ქართული ვერსია, რაც ასახულია გრინსტონის საიტის ენების გვერდის მე-5 პუნქტის ცხრილში (<http://www.greenstone.org/cgi-bin/library?e=p-en-home-utfZz-8&a=p&p=intn>). ბ-ნ ზაზა ინჯიას დახმარებით ათვისებულ იქნა მის მიერ შექმნილი ქართული ნაბეჭდი ტექსტის ოპტიკური ამოცნობის პროგრამა "ქორის თვალი" ([http://www.dachi.com.ge/2\\_1\\_ge.htm#hawk](http://www.dachi.com.ge/2_1_ge.htm#hawk)), რომლის გამოყენებითაც 5 სკანერით სამ თვეში 22 კომპიუტერში შეტანილ იქნა ცხრა ათასი გვერდი. შემდეგ გრინსტონის ციფრულ ბიბლიოთეკაში შეიქმნა ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგიის ციფრული კოლექცია, რომელიც მოიცავდა თითქმის მთელ "ჩვენ საუნჯეს", მიხეილ ჯავახიშვილის ხუთტომეულის მეორე ტომს, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძის, ტერენტი გრანელის და ლადო ასათიანის რჩეულ ნაწარმოებებს (<http://www.nplg.gov.ge/dl/>).

ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგიის ციფრული კოლექციის პირველ გამოცემაში ქართული ტექსტები იუნესკოდის კოდირებაშია ჩატვირთული, მთელი კოლექციის ტექსტებში ძებნა ტარდება ქართული შრიფტით აკრეფილი სიტყვებით და ნაწარმოებები იძებნება მასში შესული საძიებო სიტყვების მეშვეობით. მთელ მსოფლიოში ქართული კლასიკური ლიტერატურის პროპაგანდის მიზნით, მეტა-მონაცემები შეტანილ იქნა შუქია აფრიდონიძისა და ლევან ჩხაიძის მიერ შექმნილი ქართული ანბანის ტრანსლიტერაციით ([http://laag.iatp.org.ge/texts/art\\_008\\_en.html](http://laag.iatp.org.ge/texts/art_008_en.html)), ამიტომ ავტორების გვარები, სახელები და

ნაწარმოებების სათაურები შესაბამის სამიხედულ ინდექსებში ჩანს ინგლისური ტრანსლიტერაციით და ავტომატურად ლაგდება ინგლისური ანბანის მიხედვით.

გრინსტოუნის ციფრული ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფა (GSDL) შექმნილია ახალი ზელანდიის ვაიკატოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტზე. მისი გამოყენება შესაძლებელია სტანდარტული ბრაუზერების – ინტერნეტ-ექსპლორერისა და ნეტსკეიპის დახმარებით. ინსტალაციის დროს იგი ავტომატურად ყენდება როგორც Windows-ის, ასევე UNIX-ის ნებისმიერი ვარიანტის ოპერაციულ სისტემაზე. GSDL-ის მეშვეობით იქმნება ციფრული კოლექციები, რაც მთელ კოლექციაში დოკუმენტების სიტყვებით ძებნის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, GSDL-ის საშუალებით იქმნება ინდექსები (ავტორების, სათაურების, თემების და ა.შ.), რაც ინდექსებით ძებნის საშუალებასაც იძლევა. ყველა სამიხედო სტრუქტურა, მათ შორის ინდექსები, იქმნება ავტომატურად უშუალოდ შეტანილი დოკუმენტებიდან. ინდექსების ავტომატურად შესაქმნელად საჭიროა ყოვლი დოკუმენტისთვის მეტა-მონაცემების (ავტორების, სათაურების, თემების და ა.შ.) მიწერა მეტა-მონაცემების Dublin Core სქემაში. დოკუმენტები შეიძლება იყოს ნებისმიერ ენაზე, რადგან GSDL-ში გამოყენებულია იუნიკოდი. ციფრული კოლექცია შეიძლება შიდავდეს მილიონობით დოკუმენტს რამდენიმე გიგაბაიტის მოცულობით, რაც გავლენას არ ახდენს მასში ძებნისა სისწრაფეზე. შესაძლებელია აგრეთვე მომხმარებლის ინტერფეისების შექმნა ნებისმიერ ენაზე და შექმნილი ინტერფეისებიდან ნებისმიერის არჩევა. GSDL-ის ციფრულ კოლექციაში დოკუმენტების შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის: ტექსტური, გრაფიკული, აუდიო და ვიდეო. დოკუმენტების ფორმატებიც შეიძლება იყოს ნებისმიერი, მათ შორის HTML, doc, pdf, PostScript და ა.შ., რადგან GSDL-ის შიდა ფორმატი XML-ია. GSDL-ის საშუალებით ძალიან მარტივად შეიძლება ვებ-დოკუმენტების სამიხედო სისტემის შექმნა შესაბამისი URL-ების შეტანით. გრინსტოუნის კოლექციები ზუსტად ისეთივე სახით შეიძლება ჩაიწეროს კომპაქტ-დისკზე და გაშვებულ იქნეს Windows-ის ნებისმიერ ვერსიაზე. ადმინისტრატორის ქვესისტემის გამოყენებით შესაძლებელია ზოგიერთ დოკუმენტთან მხოლოდ დარეგისტრირებული მომხმარებლის დაშვება. GSDL-ის ციფრული კოლექციები შეიძლება იყოს განაწილებული რამდენიმე სხვადასხვა კომპიუტერზე ისე, რომ ამას მომხმარებელი ვერ შეამჩნევს. GSDL არის უფასო პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის გავრცელებას მხარს უჭერს იუნესკო.

## 2. საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი

თეიმურაზ ჩხენკელი

შიალი რამამრიტა რანგანათანი (1892-1972) – ინდოელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ბიბლიოთეკარი იყო მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი საბიბლიოთეკო დარგში, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა თანამედროვე საბიბლიოთეკო მეცნიერების განვითარებაში. 1931 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი

სათაურით “საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი” (Ranganathan, S.R. (1931). *The five laws of library science*. Madras: Madras Library Association).

საბიბლიოთეკო მეცნიერების რანგანათანის ხუთი კანონი:

1. წიგნები შექმნილია წასაკითხად და გამოსაყენებლად
2. ბიბლიოთეკაში ყოველმა მკითხველმა უნდა ნახოს თავისი წიგნი
3. ბიბლიოთეკაში ყოველმა წიგნმა უნდა ნახოს თავისი მკითხველი
4. ბიბლიოთეკა უფრთხილდება და ზოგავს მკითხველის დროს
5. ბიბლიოთეკა არის მზარდი ცოცხალი ორგანიზმი

ამ ხუთმა კანონმა უდიდესი ზეგავლენა იქონია მე-20 საუკუნეში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაზე და, როგორც გამოირკვა, ეს კანონები 21-ე საუკუნეშიც განსაზღვრავენ ბიბლიოთეკების მუშაობას. ყოველ კანონს აქვს თავისი ღრმა დასაბუთება და ახსნა, თუმცა პირველი ოთხი კანონი გარკვეულწილად ერთი შეხედვითაც გასაგებია. მე-5 კანონი კი გულისხმობს როგორც პუბლიკაციების განუწყვეტელ ზრდას ინფორმაციის სხვადასხვა მატარებელზე, ასევე ბიბლიოთეკარების დახელოვნების განუწყვეტელ ზრდას, რის გარეშეც ბიბლიოთეკა კვდება.

სამწუხაროდ ყველა ბიბლიოთეკარს კარგად არ ესმის ეს კანონები. ხშირად ბიბლიოთეკაში მთავარი ფონდია და არა მკითხველი. ასეთი ბიბლიოთეკებისთვის ცნობილმა ამერიკელმა ბიბლიოთეკარმა, პროფესორმა მორის ლაინმა შეადგინა გამარჯვებული ხუთი კანონი (<http://library.georgiasouthern.edu/cio/ciospch.html>):

1. წიგნები შექმნილია კოლექციებში (ბიბლიოთეკის ფონდებში) შესაგროვებლად
2. ბიბლიოთეკაში ზოგმა მკითხველმა შეიძლება ნახოს თავისი წიგნი
3. ბიბლიოთეკაში ზოგმა წიგნმა შეიძლება ნახოს თავისი მკითხველი
4. ბიბლიოთეკა ფლანგავს მკითხველის დროს
5. ბიბლიოთეკა არის მზარდი მავზოლეუმი (ან მუზეუმი)

კიდევ უფრო მახინჯ ფორმას იძენს ბიბლიოთეკა, როდესაც იგი იძულებულია თავისი არსებობის შესანარჩუნებლად დააწესოს ფასიანი მომსახურება. ასეთი ბიბლიოთეკებისთვის სხვა ამერიკელმა ბიბლიოთეკარმა ჯიმ ტომსონმა შეადგინა ხუთი კანონის მეორე შარჟი (Thompson, J. (1992). [The five laws of library science. Newsletter on Serials Pricing Issues](http://www.lib.unc.edu/prices/1992/PRIC47.HTML#47.3), 47, September 13. Retrieved October 12, 2004, from <http://www.lib.unc.edu/prices/1992/PRIC47.HTML#47.3>):

1. წიგნები შექმნილია გამორჩენის, ხეირისა და მოგებისთვის
2. ბიბლიოთეკაში ყოველ მკითხველს უნდა ჰქონდეს თავისი საგადასახადო ანგარიში
3. საბიბლიოთეკო დოკუმენტის ყოველი ეგზემლარის გამოყენებასა და, მით უმეტეს, მის ასლს ინფორმაციის ნებისმიერ მატარებელზე უნდა ჰქონდეს თავისი გადასახადი

4. ბიბლიოთეკაში მკითხველს კითხვისთვის უნდა გამოართვა ფული (და ამით დაზოგავ მის დროს)
5. ბიბლიოთეკა არის მკვნიესავი ორგანიზმი

საბიბლიოთეკო დარგში გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა, პროფესორმა მაიკლ გორმანმა რანგანათანის საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონის მიხედვით შეადგინა საბიბლიოთეკო საქმის ახალი ხუთი კანონი (Gorman, M. (1995). Five new laws of librarianship. *American Libraries*, 26 (8), 784-785.):

1. ბიბლიოთეკები ემსახურებიან კაცობრიობას
2. პატივი ეცი ცოდნის გავრცელების ყველა ფორმას
3. გონივრულად გამოიყენე ტექნოლოგიები მომსახურების გაძლიერების მიზნით
4. დაიცავი უფასო დაშვება ცოდნასთან
5. არ დაივიწყო წარსული და შექმენი მომავალი

ბოლოს მოვიყვანოთ ახალგაზრდა ირანელი მეცნიერის, ჟურნალ ვებოლოგიის მთავარი რედაქტორის - ალიზერა ნორუზის მიერ რანგანათანის საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი მისადაგებული ვებისთვის. ეს კანონები უნდა სრულდებოდეს ინტერნეტში საერთოდ და, მით უმეტეს, იმ ბიბლიოთეკებში, რომლებიც ემსახურებიან მკითხველებს ინტერნეტით (<http://www.webology.ir/2004/v1n2/a8.html#24>):

1. ვებ-რესურსები შექმნილია გამოსაყენებლად
2. ყოველ მომხმარებელს თავისი ვებ-რესურსები
3. ყოველ ვებ-რესურსს თავისი მომხმარებელი
4. გაუფრთხილდი მომხმარებლის დროს
5. ვები არის მზარდი ცოცხალი ორგანიზმი.

Ranganathan, S.R. (1931). *The five laws of library science*. Madras: Madras Library Association.

1. *Books are for use.*
2. *Every reader his or her book.*
3. *Every book its reader.*
4. *Save the time of the reader.*
5. *The Library is a growing organism.*

პროფესორ მორის ლაინის გაშარჟებული ხუთი კანონი:

<http://library.georgiasouthern.edu/cio/ciospch.html>

1. Books are for collecting
2. Some readers their books
3. Some books their readers

4. Waste the time of the reader
5. A library is a growing mausoleum

ამერიკელი ბიბლიოთეკარის ჯიმ ტომსონის ხუთი კანონის მეორე შარჟი:

Thompson, J. (1992). [The five laws of library science](http://www.lib.unc.edu/prices/1992/PRIC47.HTML#47.3). *Newsletter on Serials Pricing Issues*, 47, September 13. Retrieved October 12, 2004, from <http://www.lib.unc.edu/prices/1992/PRIC47.HTML#47.3>

1. *Books are for profit.*
2. *Every reader his bill.*
3. *Every copy its bill.*
4. *Take the cash of the reader.*
5. *The library is a groaning organism*

ამერიკელი პროფესორის მაიკლ გორმანის საბიბლიოთეკო საქმის ახალი ხუთი კანონი:

Gorman, M. (1995). Five new laws of librarianship. *American Libraries*, 26 (8), 784-785.

1. *Libraries serve humanity.*
2. *Respect all forms by which knowledge is communicated.*
3. *Use technology intelligently to enhance service.*
4. *Protect free access to knowledge; and*
5. *Honor the past and create the future*

ირანელი მეცნიერის, ჟურნალ ვებოლოგიის მთავარი რედაქტორის - ალიზერა ნორუზის რანგანათანის საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი მისადაგებული ვებისთვის:

<http://www.webology.ir/2004/v1n2/a8.html#24>

1. *Web resources are for use.*
2. *Every user his or her web resource.*
3. *Every web resource its user.*
4. *Save the time of the user.*
5. *The Web is a growing organism.*

### 3. ბიბლიოთეკის ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასება

ზ. აბაშიძე, თ. ჩხენკელი

#### შესავალი

გამონაკლისი შემთხვევების გარდა, თითქმის არც ერთ ბიბლიოთეკას მსოფლიოში არ გააჩნია საკმარისი რესურსები. ბიბლიოთეკის შეზღუდული რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტურობის სისტემატურ შეფასებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. წინამდებარე სტატია ეყრდნობა კრებულს: Library evaluation: a casebook and can-do guide / Danny P. Wallance, Connie Van Fleet, editors. – Libraries Unlimited, Inc., 2001. – 238 p.

ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტურობის სისტემატური შეფასება, შეფასების ანგარიშის შედგენა და მისი გამოქვეყნება ემსახურება ერთდროულად რამდენიმე მიზანს: 1. ბიბლიოთეკა როგორც სახელმწიფო დაწესებულება ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, რომელსაც იგი ემსახურება; 2. საზოგადოების ყველა წევრი არ დადის ბიბლიოთეკაში, მაგრამ ყველას უნდა სჯეროდეს, რომ ბიბლიოთეკა მუშაობს თავისი შესაძლებლობების ზღვარზე; საზოგადოება არა მარტო უნდა ენდობოდეს ბიბლიოთეკას, არამედ იგი აქტიურად უნდა გულშემატკივრობდეს მას; 3. შეფასების ანგარიშის პერიოდული გამოქვეყნება და გავრცელება ხელს უწყობს ბიბლიოთეკის პოპულარიზაციასა და არასახელმწიფოებრივი დაფინანსების მოზიდვას, ფინანსური და პოლიტიკური გავლენიანი წრეების მხარდაჭერის მოპოვებას; 4. დაგეგმვასა და გადაწყვეტყილებების მიღებაში შეცდომების თავიდან აცილება შეუძლებელია დროული და მრავალმხრივი შეფასებების გარეშე; 5. შეფასების ანგარიშის შედგენისას ისახება ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ოპტიმატიზაციისა და მუშაობის ეფექტურობის გაზრდის გზეზე.

ჩვეულებრივად შეფასებას უნდა ატარებდეს და შეფასების ანგარიშს უნდა ადგენდეს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ბიბლიოთეკის მეთოდურ განყოფილებასთან ერთად. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი გარეშე პირები ან ორგანიზაციები (კონტროლის პალატა, აუდიტორული ფირმა და სხ.). ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტურობის ანგარიში უნდა იყოს ჩართული ბიბლიოთეკის წლიურ ანგარიშში.

#### შეფასების მოდელები

ბიბლიოთეკის ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასება შეიძლება რამდენიმე მოდელის გამოყენებით:

1. მიზნის მოდელი (რამდენად აღწევს დასახულ მიზნებს ბიბლიოთეკა);
2. კრიტიკული გულშემატკივრების მოდელი (გამოყოფილია თუ არა ბიბლიოთეკის კრიტიკული გულშემატკივრების ჯგუფები და რამდენად ხდება მათი მოთხოვნილებებისა და შეხედულებების დაკამაყოფილება);
3. რესურსების მოდელი (განსაზღვრულია თუ არა ბიბლიოთეკისთვის აუცილებელი რესურსები და ხდება თუ არა მათი მოპოვება);
4. თანამშრომლების მოდელი (განსაზღვრულია თუ არა



ბიბლიოთეკისთვის საჭირო სპეციალისტები და ხდება თუ არა მათი მოზიდვა საჭირო რაოდენობით); 5. ღია სისტემების მოდელი (შეუძლია თუ არა ბიბლიოთეკას საფრთხეების განჭვრეტა და მათი მოგერიება, რათა შეინარჩუნოს სტანდარტული მომსახურების დონე); 6. გადაწყვეტილებების მიღების მოდელი (რამდენად კვალიფიციური გადაწყვეტილებები მიიღება, რამდენად ჩართულია ბიბლიოთეკის თანამშრომლები გადაწყვეტილებების მიღებაში, ფასდება თუ არა ყოველი გადაწყვეტილება მიღებული შედეგებით); 7. მომხმარებელთა მომსახურების მოდელი (რამდენად დაკმაყოფილებულია მომხმარებელი ბიბლიოთეკის მომსახურებით).

### მიზნის მოდელი

მიზნის მოდელი ყველაზე გავრცელებული მოდელია ბიბლიოთეკის ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასებისას. მისი კერძო შემთხვევებია წლიური გეგმის შემუშავება (სადაც ჩამოყალიბებულია წლის მიზნები), მისი შესრულების ანგარიშის შედგენა და ორივე დოკუმენტის გამოქვეყნება. თუ ორგანიზაცია ვერ აღწევს ცხად, თანამედროვე მოთხოვნებით გამოწვეულ, რაციონალურ და რეალურ მიზნებს, მაშასადამე არსებობს პრობლემები, რომლებზეც საჭიროა ძალისხმევის კონცეტრაცია.

მიუხედავად იმისა, რომ მიზნის მოდელი ყველაზე გავრცელებულია, იგი იწვევს გარკვეულ სკეპტიციზმს, რომელიც გამოწვეულია მიზნის ჩამოყალიბების პროცესით, რის გამოც მიზანი შეიძლება აღმოჩნდეს არაადეკვატური საზოგადოებრივის. ვინ შეიძლება დააყენოს მიზანი: 1. დირექციამ (ან დირექციის ნაწილმა), 2. ხელმძღვანელობამ (დეპარტამენტებისა და სხვა ქვედანაყოფების უფროსებმა) და მაღალკვალიფიციურმა თანამშრომლებმა, სხვადასხვა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ჯგუფებმა, პარლამენტმა, მთავრობამ და ა.შ. თუ ბიბლიოთეკის მიმართ რომელიმე შემთხვევებულ ჯგუფს აღმოაჩნდა თავისი მოთხოვნები ან შეხედულებები და ბიბლიოთეკა ვერ დააკმაყოფილებს მათ (ან არ შეეცდება რომ დააკმაყოფილოს), მაშინ ბიბლიოთეკას შეიძლება შეექმნას საფრთხეები. ზოგ შემთხვევაში ეს მოთხოვნები შეიძლება არ თანხვდებოდეს ბიბლიოთეკის გრძელვადიან მიზნებს, ამიტომ ბიბლიოთეკა სისტემატურად უნდა ეწეოდეს თავისი ძირითადი მიზნებისა და ფუნქციების პოპულარიზაციას. ზოგ შემთხვევაში პირიქით, ეს მოთხოვნები აზუსტებენ ბიბლიოთეკის მიმდინარე მიზნებს და წლიური გეგმის ჩამოყალიბებას საზოგადოების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ეფექტურობის მისაღწევად იგულისხმება, რომ მიზნები (წლიური გეგმა) უნდა იყოს გაზიარებული ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივის მიერ და რომ ყოველმა თანამშრომელმა უნდა შეძლოს ყოველი მიზნის შესრულების შემოწმება და თავისი აზრის გამოთქმა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ: 1. ნამდვილი მიზნის იდენტიფიცირება ზოგჯერ ძნელია; 2. დროთა განმავლობაში მიზნები იცვლება, ძველდება; 3. მიზნები შეიძლება იყოს წინააღმდეგობრივი დეპარტამენტებისთვის ან მთლიანად ბიბლიოთეკისთვის; 4. მიზნები შეიძლება ემსახუროდეს საზოგადოების ერთ ჯგუფს და არ აკმაყოფილებდეს მეორეს; 5. მიზნები შეიძლება არ აკმაყოფილებდეს მკითხველთა მოთხოვნებს; 6. მიზნები შეიძლება ასახავდეს იმათ მოთხოვნებს, ვისაც

მეტი გავლენა აქვს დირექციაზე და არა მათ მოთხოვნებს, ვისაც უფრო ესაჭიროება ბიბლიოთეკა; 7. მიზნები რაციონალურად უნდა ასახავდნენ დღევანდელი მსოფლიოს მდგომარეობას; 8. მიზნები შეიძლება არ იყოს ფოკუსირებული იმაზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკისთვის. მაგ., ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს შეიძლება ჰქონდეს კომპიუტერი და ინტერნეტი, მაგრამ ბიბლიოთეკა ვერ ასრულებდეს თავის სოციალურ და საზოგადოებრივ დანიშნულებას.

### კრიტიკული გულშემატკივრების მოდელი

კრიტიკულ გულშემატკივრების მოდელში ბიბლიოთეკის ეფექტურობა იზომება კრიტიკულ გულშემატკივრთა ჯგუფების მოთხოვნათა და შეხედულებათა დაკმაყოფილების შეფასების გზით. კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფები შეიძლება იყოს შიდა და გარე. ყოველ ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს თავისი, სხვებისგან განსხვავებული წარმოდგენები ბიბლიოთეკაზე და ეს წარმოდგენები დროთა განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს. კრიტიკულ გულშემატკივრებს განეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ ბიბლიოთეკის გეგმებზე და ფუნქციონირებაზე. გულშემატკივართა ჯგუფები შეიძლება ჩაითვალოს კრიტიკულად თუ: 1. ჯგუფში შემავალ წევრთა რაოდენობა ყველაზე დიდია; 2. ჯგუფში შემავალი წევრები საზოგადოებაში ფინანსურად ან პოლიტიკურად გავლენიანი პირებია; 3. ჯგუფში შედიან საზოგადოების ყველაზე მყვირალა წევრები; 4. ჯგუფში შედის საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი და პერსპექტიული ნაწილი (მაგ. ახალგაზრდობა). შიდა კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფების მაგალითებია დირექცია, განყოფილების გამგეები, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სრული შემადგენლობა. გარე კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფების მაგალითებია მკითხველები, პოტენციური მკითხველები, დამფინანსებელი ორგანიზაციები და პიროვნებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, ახალგაზრდობა, უმუშევრები, ინვალიდები, საზღვარგარეთელი მკითხველები და ა.შ.

უნდა განისაზღვროს შიდა კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფების მოთხოვნები, რამდენად არის ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებული და რამდენად შესაძლებელია მათი დაკმაყოფილება პრინციპში.

უნდა განისაზღვროს გარე კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფები, რომელთაც ყველაზე დიდი გავლენა შეუძლიათ მოახდინონ ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებულ უნდა იქნეს მათი წარმოდგენები ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. შეფასებულ უნდა იქნეს ბიბლიოთეკის შესაძლებლობები გარე კრიტიკული გულშემატკივრების ჯგუფების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მოხდეს ბიბლიოთეკის გეგმების კორექტირება იმისათვის, რომ არსებული გადანაწილდეს ამ მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით. შედეგი: უფრო დიდი ფინანსური ან მატერიალური რესურსების მოპოვების შესაძლებლობა. მაგ., მომავალი საპარლამენტო სესიის დღის წესრიგის მიოხედვით ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი და ამ ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდება პარლამენტისთვის, დამფინანსებელი ორგანიზაციების ან პიროვნებების საინფორმაციო მოთხოვნილებების შესწავლა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მათთვის და ა.შ.

## რესურსების მოდელი

რესურსების მოდელი განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ორგანიზაციულ ეფექტურობას ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რესურსების მოპოვების სისრულითა და დროულობით. იმისათვის, რომ ბიბლიოთეკამ შეიძინოს აუცილებელი საინფორმაციო, ტექნიკური და სხვა რესურსები მას უნდა შეეძლოს ფინანსური რესურსების მოპოვება მთავრობისგან, საქველმოქმედო ორგანიზაციებისგან და პიროვნებებისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რესურსების მოდელით ეფექტურობის შეფასებისას უნდა იქნეს დათვლილი ბიბლიოთეკის ურთიერთობები ზემდგომ ორგანოებთან, ფინანსურ და პოლიტიკურ წრეებთან და ამ ურთიერთობებით მიღწეული შედეგები. გარდა ამისა ბიბლიოთეკამ უნდა შეაფასოს თუ რამდენად ეფექტურად არის გამოყენებული ბიბლიოთეკის შიდა ორგანიზაციული და სპეციალისტების რესურსები. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბიბლიოთეკის ურთიერთობებს მომწოდებლებთან (წიგნების, პერიოდიკის, კომპიუტერების, ინტერნეტის და ა.შ.) იმისათვის, რომ დროულად შეძენილ იქნეს საჭირო ხარისხიანი მასალა.

## თანამშრომლების მოდელი

თანამშრომლების მოდელი წარმოადგენს რესურსების მოდელის განშტოებას ან კერძო სახეს. თანამშრომლების მოდელის თვალსაზრისით ბიბლიოთეკა ორგანიზაციულად ეფექტურია თუ მას შეუძლია მოიზიდოს, შეარჩიოს და შეინარჩუნოს ბიბლიოთეკისთვის საჭირო სპეციალისტები, რომელნიც ისწრაფვიან ბიბლიოთეკის მიზნების შესრულებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების მეოხებით ქვეყნის უკეთესი მომავლისაკენ. ამ მოდელისთვის დათვლილი უნდა იქნეს კადრების დენადობა და მისი მიზეზები, შეფასებული უნდა იქნეს თანამშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება სამუშაოს ხასიათით, საჭიროებით, მოცულობით, საზოგადოებრივი მნიშვნელობით და ა.შ. შეფასებულ უნდა იქნეს კადრების სისტემის მოქნილობა და უნარი მოიზიდოს სხვადასხვა დარგის გამოცდილიც და ახალგაზრდა, პერსპექტიული სპეციალისტი. უნდა იქნეს შეფასებული თუ რამდენად არიან კმაყოფილი თანამშრომლები შრომის არსებული ანაზღაურებით და მისი გაზრდის პერსპექტივებით.

## ღია სისტემების მოდელი

ღია სისტემების მოდელი განიხილავს ბიბლიოთეკას როგორც ცოცხალ ორგანიზმს, რომელმაც უნდა განუწყვეტლივ თვალი უნდა ადევნოს შესაძლო საფრთხეებს და იზრუნოს თავის გადარჩენაზე ცვალებად გარემოში. ბიბლიოთეკის საფრთხეებია: დაფინანსების შემცირება, შესაძენი მასალებისა და მომსახურების გაძვირება, ბიბლიოთეკის გამოყენების დაბალი მაჩვენებლები, საკანონმდებლო შეზღუდვები, ინფორმაციის ახალი მატარებლებისა და მათი გამოყენების მიუწვდომლობა და ა.შ.

შეუძლია თუ არა ბიბლიოთეკას საფრთხეების განჭვრეტა და მათი მოგერიება, რათა საბიბლიოთეკო მომსახურების დონე შეესაბამებოდეს თანამედროვე მსოფლიო

სტანდარტებსა და საზოგადოების მოთხოვნილებებს. ამისათვის შეფასებულ უნდა იქნეს ბიბლიოთეკის შესაძლებლობა:

1. სწრაფად შეავსოს ვაკანსიები კვალიფიციური სპეციალისტებით;
2. შექმნას ბიბლიოთეკის პოზიტიური საზოგადოებრივი იმიჯი;
3. სწრაფად დაძლიოს კრიზისული სიტუაციები, წარმატებით განახორციელოს თავისი პროექტები და განახორციელოს მომსახურების ახალი სახეების პოპულარიზაცია;
4. მოიპოვოს ნდობა დამფინანსებელი და სხვა გავლენიანი ორგანიზაციებისა და პირებისა;
5. მომწოდებელ ორგანიზაციებთან უშეცდომო და უნარიანი მუშაობისა.

### **გადაწყვეტილებების მიღების მოდელი**

გადაწყვეტილებების მიღების მოდელისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს თუ რამდენად ეფექტურად იყენებს ბიბლიოთეკა შიდა და გარე სტატისტიკურ და სხვა მონაცემს, რამდენად რეალურად ასახავენ ისინი რეალობას და რამდენად საიმედოა ეს მონაცემები, როგორ ხდება ამ მონაცემების დამუშავება შესაბამისი დასკვნების მისაღებად.

მეორე ფაქტორს კვალიფიციური გადაწყვეტილებების მიიღებაში წარმოადგენს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში სხვადასხვა სახით. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა სხვადასხვა დონეზე უნდა გაიზიარონ პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიღებაში.

მესამე ფაქტორს გადაწყვეტილებების მიღების მოდელისთვის წარმოადგენს ყოველი გადაწყვეტილების შეფასება მიღებული შედეგებით, გადაწყვეტილების ანალიზი მისი შედეგებით. ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტურობის მისაღწევად ყოველად დაუშვებელია მცდარი გადაწყვეტილების მიჩუმათება.

### **მომხმარებელთა მომსახურების მოდელი**

ბიბლიოთეკა არსებობს მომხმარებლისთვის, ამიტომ ბიბლიოთეკა პერიოდულად უნდა აფასებდეს, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი თავისი მკითხველების მოთხოვნილებებს, რომელთა რამდენიმე ასპექტი არსებობს: 1. შეხებითი შეგრძნების მოთხოვნილებები: დარბაზები, ავეჯი, ტემპერატურა, განათება, სუნი, ხმაური, ფონდები ელექტრონული მასალები, კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები, კატალოგები და სხვა საშუალებები, ინტერნეტი და კომუნიკაციის სხვა საშუალებები და ა.შ.; 2. საიმედოობა: წესდებით დადგენილი საბიბლიოთეკო მომსახურების მაღალ დონეზე შესრულების რეალური შესაძლებლობა და პირობები; 3. პასუხისმგებლობა: მკითხველთა დახმარებისა და სწრაფი მომსახურების უანგარო სურვილი; 4. დარწმუნება: ბიბლიოთეკართა ცოდნა, პროფესიონალიზმი, თავაზიანობა და მათ მიერ მკითხველთა ნდობის დამსახურება; 5. თანაგრძობა: ინდივიდუალური ყურადღების მიქცევა ყოველ მკითხველს.

შეფასებები უნდა ტარდებოდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად სტატისტიკის, კითხვარებისა და ინტერვიუების გამოყენებით. შეფასების შედეგები უნდა ჯამდებოდეს ანგარიშის სახით, ქვეყნდებოდეს და უფასოდ ურიგდებოდეს მკითხველებს.

4. ზაზა აბაშიძე, თეიმურაზ ჩხენკელი, ემზარ ჯგერენაია  
საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა

ციფრული კოლექციების განვითარება საქართველოს პარლამენტის  
ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში

2003 წელს იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე მიღებულ იქნა ”ციფრული მემკვიდრეობის დაცვის ქარტია”(http://laag.iatp.org.ge/texts/CharterGe.doc), რომლის თანახმად ციფრული მემკვიდრეობა შედგება ადამიანის ცოდნისა და შემოქმედების გამოსახვის უნიკალური რესურსებისაგან. იგი მოიცავს ტექსტებს, მონაცემთა ბაზებს, უძრავ და მოძრავ გამოსახულებებს, ხმოვან და გრაფიკულ ფაილებს, პროგრამულ უზრუნველყოფასა და ვებ-გვერდებს. ციფრული მემკვიდრეობის დაცვის მიზანია მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. არსებობს საფრთხე, რომ მსოფლიოს ციფრული მემკვიდრეობა დაიკარგოს შთამომავლობისთვის. ამის რეალური მიზეზებია ციფრული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის სწრაფი მორალური მოძველება, მემკვიდრეობის შემადგენელი საინფორმაციო რესურსების განუსაზღვრელობა, გაურკვეველობა ამ რესურსების დაცვისა და შენახვის მეთოდებსა და პასუხისმგებლობაში, ციფრული მემკვიდრეობის მხარდამჭერი კანონმდებლობის უქონლობა.

2005 წელს კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორმა ჯეიმს ბილინგტონმა წამოაყენა “მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნის წინადადება”(http://laag.iatp.org.ge/texts/ProposalGe.doc), რომლის თანახმად კულტურის ნიმუშების ის მდიდარი მარაგი, რომელიც ამერიკულ ორგანიზაციებშია დაცული, მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის მეშვეობით უფასოდ იქნება დაბრუნებული მსოფლიოსთვის ახალი ფორმით, რომლითაც უზრუნველყოფილია გაცილებით უფრო უნივერსალური და საყოველთაო ხელმისაწვდომობა ვიდრე ოდესმე ადრე. აშშ დაინტერესებულია მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნაში, რადგან ამერიკა თვითონ არის მსოფლიო ცივილიზაცია, რომლის მოქალაქეთა შორის უნიკალურად არის წარმოდგენილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ჯეიმს ბილინგტონის აზრით მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის აგებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ორი პრობლემის გადაწყვეტა: (1) როგორ დავიცვათ სწორი ბალანსი საავტორო უფლებების დაცვასა და ინტერნეტში მასალების მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას შორის; (2) როგორ შევქმნათ მეტამონაცემები (კატალოგიზაციის ქსელური ექვივალენტი) და ინტეროპერაბულობა (http://www.netlingo.com/lookup.cfm?term=interoperability - სხვადასხვა ნაწილებისგან შემდგარი სისტემის უნარი იმუშაოს ავტომატურად, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სისტემის ნაწილები აკმაყოფილებენ სტანდარტებს).

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კოლექციები ემსახურება სხვადასხვა მიზანს: მთელი ეროვნული დოკუმენტური კულტურული მემკვიდრეობის (მათ შორის იშვიათი და ძალიან დაზიანებული გამოცემების, ხშირად მოთხოვნილი გამოცემების, მცირეტირაჟიანი გამოცემების, ქართული ინტერნეტ-გამოცემების და სხვათა)

შენახვა, დაცვა და მასთან ხელმისაწვდომობის გაზრდა, ახალი ბეჭდური გამოცემების ვირტუალური გამოფენის შექმნა, ბეჭდური გამოცემების ელექტრონული არქივის შექმნა, ქართული ინტერნეტის ელექტრონული არქივის შექმნა, გარკვეული კატეგორიის მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის განათლების დონის ამაღლება გარკვეულ საკითხებში (მაგ., სამოქალაქო განათლება), მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკაში ღირსეული ადგილის დაკავება და ეროვნული კულტურის წარმოჩინება, საქართველოს ინტერესების დაცვა ვირტუალურ სამყაროში და ა.შ. ცხადია, რომ ამ მიზნების მიღწევას ეროვნული ბიბლიოთეკა მხოლოდ თავისი ძალებით ძალიან დიდხანს მოუნდება. ამიტომაც მნიშვნელოვანი ციფრული კოლექციების შექმნაში ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან, გამომცემლობებთან, ავტორებთან.

მსოფლიოში ელექტრონული ბიბლიოთეკების გავრცელებას ხელი არ შეუშლია ბეჭდური პროდუქციის ზრდისათვის მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო გარემოს არსებობის შემთხვევაში ელექტრონულ ბიბლიოთეკებს შემდეგი უპირატესობები აქვს: 1. ვირტუალური წიგნი ყოველთვის, ყველგან და სხვადასხვა ფორმით არის ხელმისაწვდომი; 2. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში წიგნის მონახვა გაცილებით უფრო ეფექტური ხერხებით შეიძლება – როგორც ავტორით, სათაურით, საგნობრივი რუბრიკით და სხვა მეტამონაცემებით ასევე სრულ ტექსტებში სიტყვების ძებნით; 3. ერთი ვირტუალური წიგნი ერთდროულად შეიძლება იკითხოს ბევრმა მკითხველმა; 4. ერთ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში შეიძლება ჩართული იქნეს სხვადასხვა სახის ნაწარმოებები – წერილობითი, მუსიკალური, ფერწერული, კინო და ა.შ.; 5. საერთაშორისო სტანდარტებით შექმნილ ელექტრონულ ბიბლიოთეკას ადვილად შეუძლია გაუზიაროს სხვა ასეთივე ბიბლიოთეკას თავისი შენახვის ერთეულები ანუ უზრუნველყოს ინტეროპერაბულობა; 6. ელექტრონული ბიბლიოთეკის წყალობით მნიშვნელოვნად იზრდება შესაბამისი ფიზიკური გამოცემის დაცულობა და ა.შ. მეორე მხრივ, ბეჭდურ გამოცემებს აქვს და ყოველთვის ექნება უპირატესობა ელექტრონულ გამოცემებთან შედარებით და ეს უპირატესობა პირველ რიგში მდგომარეობს იმაში, რომ წიგნის კითხვას არ ჭირდება თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

ინტერნეტში არსებობს ციფრული ბიბლიოთეკების შექმნის სახელმძღვანელოები:

1. Building Digital Collections: Technical Information and Background Papers. National Digital Library Program (NDLP) at the Library of Congress: (<http://memory.loc.gov/ammem/techdocs/index.html>)
2. Peter Noerr. Digital Library Toolkit. 3rd edition. Sun Microsystems, January 2003: ([http://www.sun.com/products-n-solutions/edu/whitepapers/pdf/digital\\_library\\_toolkit.pdf](http://www.sun.com/products-n-solutions/edu/whitepapers/pdf/digital_library_toolkit.pdf))
3. Sitts, M.K., ed. Handbook for digital projects: a management tool for preservation and access. Northeast Document Conservation Center, Andover, MA (USA), 2000: (<http://www.nedcc.org/digital/dighome.htm>)
4. North Carolina ECHO (Exploring Cultural Heritage Online), State Library of North Carolina. Digitization guidelines (best practice guide). Revised - 07-03-2003: (<http://www.ncecho.org/guidelines.asp>)
5. Kentuckiana Digital Library. Digital Library Production Guide (<http://www.kyvl.org/kentuckiana/bpguide/about.shtml>)

6. OAIPMH (Open Archives Initiative Protocol for Metadata Harvesting) (<http://www.openarchives.org/OAI/openarchivesprotocol.html>)

7. Information Management Resource Kit (Digitization and Digital Libraries module) <http://www.imarkgroup.org/>

ბოლო სახელმძღვანელო რეკომენდებულია იუნესკოს მიერ და მასში მოცემულია გეგმა, რომლის თანახმადაც უნდა იქმნებოდეს ციფრული კოლექცია:

1. უნდა განისაზღვროს ციფრული კოლექციის შექმნის მიზანი, საჭიროება და მომხმარებელთა საინფორმაციო მოთხოვნები;
2. შეირჩეს ციფრულ კოლექციაში შესატანი მასალები, ჩამოიწეროს შერჩეული მასალების ნუსხა, შემოწმდეს და დახასიათდეს მათი ფიზიკური მდგომარეობა, განისაზღვროს გვერდების საერთო რაოდენობა;
3. შემოწმდეს შერჩეული მასალები საავტორო უფლებების სისუფთავეზე, საჭიროების შემთხვევაში საავტორო უფლებების მფლობელებისგან მიღებულ უნდა იქნეს ნებართვა გამოცემის გაციფრებასა და გაციფრებული მასალებით მკითხველთა მომსახურებაზე;
4. უნდა განისაზღვროს მოთხოვნები გაციფრებული მასალების ხარისხის მიმართ და შესაბამისად, სკანერებისა და სიმბოლოების ოპტიკური ამოსაცნობი პროგრამის (OCR) პარამეტრები;
5. უნდა განისაზღვროს ციფრული მასალების ფორმატები; თუ მასალა უკვე ციფრული სახითაა, საჭიროა თუ არა მისი კონვერტაცია დადგენილ ფორმატში;
6. უნდა განისაზღვროს ელექტრონული დოკუმენტების კატალოგიზაციის (ბიბლიოგრაფიული აღწერილობის, კლასიფიკაციის, საგნობრივი რუბრიკაციის) წესები ანუ ელექტრონული დოკუმენტებისთვის მეტამონაცემების მიწერის წესები;
7. უნდა ჩამოყალიბდეს მოთხოვნები ციფრული ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფის მიმართ და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, უფასოს გამოყენების ან საკუთარს შექმნის შესახებ;
8. მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება სკანერებისა და გაციფრებასთან დაკავშირებული სხვა კომპიუტერული ტექნიკის შექმნის ან გაციფრების მთელი სამუშაოს გარეშე ორგანიზაციისთვის შეკვეთის შესახებ;
9. გამოიყოს და გადამზადდეს თანამშრომლები გაციფრებასთან დაკავშირებულ სამუშაოების შესასრულებლად.

მხოლოდ ამ 9 მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ უნდა დაიწყოს საკუთრივ გაციფრებისა და ციფრული კოლექციის შექმნის პროცესი:

10. შერჩეული მასალების გაციფრებისთვის მომზადება, სკანირება, თუ საჭიროა გატექსტება OCR-ის საშუალებით, გაციფრებული მასალის კორექტირება და ხარისხის შემოწმება;
11. მეტამონაცემების მიწერა ანუ გაციფრებული მასალების კატალოგიზაცია და კატალოგიზაციის ხარისხის შემოწმება;
12. ციფრული კოლექციის შექმნა შერჩეული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;
13. ციფრული კოლექციის ინტერნეტში განთავსება სპეციალურ საიტზე და მოთხოვნილების მიხედვით შესაბამისი კომპაქტ-დისკოს გამოცემა;

#### 14. ციფრული კოლექციის არქივში ჩართვა.

იმედია, საქართველოში ციფრული ბიბლიოთეკების შექმნა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით უფრო დიდ საზოგადოებრივ და სახელმწიფო მხარდაჭერას მოიპოვებს.

### 5. ელექტრონული ბიბლიოთეკები ინტერნეტში

თეიმურაზ ჩხენკელი

მოხსენება კონფერენციაზე „ბუნებრივ ენათა დამუშავება: ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები“ 5 დეკემბერი 2006

#### ინტეროპერაბულობა და სემანტიკური ვები

კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორის ჯეიმს ბილინგტონის მოხსენებაში ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში 2005 წელს „მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნის წინადადება“ [1] ნათქვამია: „მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის აგებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ორი პრობლემის გადაწყვეტა და ჩვენ ვმუშაობთ ყველა შესაბამის ორგანიზაციასთან, რომ მოვნახოთ პასუხი ორ უკიდურესად კრიტიკულ და ჯერ კიდევ გადაუჭრელ შეკითხვაზე: (1) როგორ დავიცვათ სწორი ბალანსი საავტორო უფლებების დაცვასა და ინტერნეტში მასალების მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას შორის; (2) როგორ შევექმნათ მეტამონაცემები (კატალოგიზაციის ქსელური ექვივალენტი) და ინტეროპერაბულობა\*, რომელთა საშუალებით შეიძლება შეიქმნას უნიფიცირებული და გამოყენებადი მრავალმედიური და ტრანსკულტურული ქსელური ბიბლიოთეკა. თუ ჩვენ შევძლებთ ამ პრობლემების გადაჭრას ეროვნულ დონეზე, ჩვენ გვექნება საერთაშორისო დონეზე მათი გადაწყვეტის უკეთესი შესაძლებლობა“.

ინტეროპერაბულობა - სხვადასხვა ნაწილებისგან შემდგარი სისტემის უნარი იმუშაოს ავტომატურად, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სისტემის ნაწილები აკმაყოფილებენ მიღებულ სტანდარტებს [2].

მაგრამ დავიწყოთ სათავეებიდან. ათი წლის მუშაობის შედეგად 1991 წელს ტიმოთე ბერნერს-ლიმ შექმნა მსოფლიო აბლაბუდა - World Wide Web, რომელიც გახდა ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საშუალება. 1994 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მან დააარსა W3C - კონსორციუმი, დაიწყო მუშაობა ვების განვითარებაზე და 1998 წელს გამოაქვეყნა პირველი სტატია სემანტიკური ვების შესახებ [3].

სემანტიკური ვების ძირითადი იდეა მდგომარეობს სტრუქტურირებული ინფორმაციის ქსელურ გაცვლაში კომპიუტერულ პროგრამებს შორის მისი შემდგომი დამუშავებისა და გამოყენების მიზნით [4]. იგი ეფუძნება ხელოვნური ინტელექტისა და საექსპერტო სისტემების შექმნისას მიღებულ გამოცდილებას, თუმცა მათზე უფრო სუსტი ფორმალური სისტემაა. სემანტიკური ვები შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან: სემანტიკა (განსაზღვრავს ცნებების არსს ანუ ონთოლოგიას), სტრუქტურა (განსაზღვრავს ცნებებს შორის მიმართებებს, რისთვისაც შექმნილია



სპეციალური ფორმალური აპარატი RDF – Resource Description Framework [5]) და სინტაქსი (განსაზღვრავს ცნებებისა და მიმართებების ურთიერთკავშირს და ამ კავშირების ჩაწერის წესებს, რისთვისაც შექმნილია XML – eXtended Mark-up Language[6]).

XML არის სპეციალური მონიშვნის ენა, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო მონიშვნის ენის Standard Generalized Mark-up Language - SGML - ის ქვესიმრავლეს. იგი არის საინფორმაციო რესურსების ან ციფრული ობიექტების აღწერისთვის შექმნილი მონიშვნის ენა, HTML კი რესურსების წარდგინების (პრეზენტაციის) მონიშვნის ენაა. დღეისათვის XML გადაიქცა მეტამონაცემების ჩაწერის, გაცვლისა და დამუშავების საყოველთაოდ მიღებულ სინტაქსად [7].

მეტამონაცემები არის სტრუქტურირებული მონაცემები მონაცემების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ ინფორმაციის ძიებისა და მასთან წვდომის შესაძლებლობებს. კომპიუტერულ პროგრამებში მეტამონაცემების გამოყენებისას, საინფორმაციო რესურსების ინტეროპერაბულობის უზრუნველყოფად საჭიროა საერთაშორისო შეთანხმება მათ სემანტიკაზე, სტრუქტურასა და სინტაქსზე.

RDF შეიქმნა სხვადასხვა მეტამონაცემების მომხმარებელთა გაერთიანებების საერთო ძალისხმევით, რათა დაკმაყოფილებულიყო ვებში გამოყენებული მეტამონაცემების მიმართ რაც შეიძლება ფართო მოთხოვნები. ამიტომ RDF-ს ძალიან მოქნილი არქიტექტურა აქვს. იგი იძლევა რესურსების აღწერის მოდელს გრაფების გამოყენებით, თუმცა არსებობს RDF-ის ინტერპრეტაცია მათემატიკური ლოგიკის გამოყენებით მოდელების თეორიის საფუძველზე [8]. RDF-ში რესურსი განისაზღვრება როგორც ობიექტი, რომელიც ცალსახად არის იდენტიფიცირებული რესურსის უნიფიცირებული იდენტიფიკატორით (URI – Uniform Resource Identifier [9]). რესურსებს გააჩნიათ თვისებები, რომელთაც აქვთ სახელები და მნიშვნელობები. იმ თვისებების სიმრავლეს, რომლებიც შეესაბამება ერთ რესურსს, ამ რესურსის აღწერა ეწოდება. XML-ში თვისებათა და მნიშვნელობათა სახელებისთვის განისაზღვრება სახელთა სივრცეები (namespaces), რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ URI-სთან.

ვებში გამოყენებული მეტამონაცემების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მაგალითია Dublin Core Metadata Initiative [10] ან, უბრალოდ, DC. მარტივი DC შედგება 15 ელემენტისგან (თვისებისგან). ციფრული ობიექტის აღწერაში ზოგიერთი მათგანის რამდენიმე მნიშვნელობა შეიძლება შედიოდეს. შემდგომში გამოირკვა, რომ ეს 15 თვისება არ არის საკმარისი ციფრული ობიექტის სრულყოფილი აღწერისთვის და, ამიტომ, მარტივი DC გაფართოვდა ახალი თვისებებითა და კვალიფიკატორებით. არსებობს სამი ტიპის მეტამონაცემები: აღწერილობითი, სტრუქტურული და ადმინისტრაციული. აღწერილობითი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ცალსახად აღწერენ ციფრულ ობიექტს ან საინფორმაციო რესურსს და უზრუნველყოფენ მის იდენტიფიცირებას, სტრუქტურული მეტამონაცემებით ხდება რესურსების პრეზენტაცია, ძიება და ნავიგაცია მათში, ადმინისტრაციული მეტამონაცემებით კი რესურსების მართვა და მართვის ისეთი ავტომატიზებული სისტემების შექმნა, როგორცაა Digital Object Management Systems და Content Management Systems.

ინტეროპერაბულობის უზრუნველსაყოფად საჭიროა აგრეთვე შეთანხმება მეტამონაცემების ქსელური გაცვლისა და შეგროვების პროტოკოლებზე. დღეისათვის არსებული პროტოკოლებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია Z39.50 [11], OAIPMH [12] და OpenURL [13].

ინტერნეტში ელექტრონული ბიბლიოთეკების გავრცელებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ციფრული ობიექტების იდენტიფიცირებამ და შეიქმნა კიდევ საერთაშორისო ციფრული ობიექტების იდენტიფიცირების სისტემის ფონდი DOI – Digital Object Identifier [14], რომელშიც წევრობა ფასიანია. ყველასთვის ნაცნობია მსგავსი სისტემები ISBN და ISSN ბეჭდური გამოცემებისთვის, მაგრამ საკმარისია კი ეს იდენტიფიკატორები? იფლას კოლექტიური ნაშრომის „[Functional Requirements for Bibliographic Records - Final Report](#)“ (FRBR) თანახმად [15] ან [16] ადამიანის შემოქმედების შედეგი შეიძლება არსებობდეს ოთხი ნაირსახეობით: ნაშრომი (work - რომელიც არსებობს მხოლოდ ადამიანის გონებაში), ნაწარმოების (ნაშრომის) განსახიერება რაიმე მატერიალურ მატარებელზე (expression), გამოცემა, მაგ., ბეჭდური (manifestation) და გამოცემის ერთი ეგზემპლარი (item). ISBN და ISSN მიენიჭება ბეჭდურ გამოცემას (manifestation) და არა ნაწარმოების განსახიერებას (expression-ს მაგ., ხელნაწერს) და მით უმეტეს არ მიენიჭება ნაშრომს, რომელიც არსებობს მხოლოდ ადამიანის გონებაში. ინტერნეტში გამოქვეყნებული ნაწარმოები შეიძლება იყოს ნაშრომის ერთადერთი მატერიალური განსახიერება, ან მას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ასლი სხვადასხვა სერვერებზე, ან შეიძლება იყოს ბეჭდური გამოცემის ინტერნეტ ვერსია. ყოველ მათგანს სჭირდება იდენტიფიცირება და შესაბამისი კავშირების დამყარება ერთმანეთთან. უფრო მეტიც, ISBN და ISSN არ არის საკმარისი ბეჭდური ნაწარმოების იდენტიფიცირებისთვის, თუ იგი გამოქვეყნებულია კრებულში ან ჟურნალში სხვა ნაწარმოებებთან ერთად.

მეტამონაცემების ყველაზე ძველი მაგალითია ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ელემენტები. როდესაც შეიქმნა ელექტრონული კატალოგები და შემდეგ ინტერნეტი, შესაძლებელი გახდა ბეჭდური გამოცემების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების საერთაშორისო გაცვლა ქსელით იმ პირობით, თუ დაცულია საერთაშორისო აღწერილობის წესები ანუ სემანტიკა (ISBD ან AACR2), ბიბლიოგრაფიული კომპიუტერული ჩანაწერის საერთაშორისო სტრუქტურა (UNIMARC ან MARC21) და ქსელური გაცვლის პროტოკოლი Z39.50. კატალოგიზაციას კოპირებით ან კორპორაციულ კატალოგიზაციას უდიდესი ეკონომიკური ეფექტი აქვს. ბეჭდური გამოცემების შემთხვევაში ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შეიძლება არ იყოს ჩართული გამოცემაში, ხოლო კატალოგი საერთოდ განცალკევებულია საბიბლიოთეკო ფონდისგან. ელექტრონული ბიბლიოთეკის შემთხვევაში კი ელექტრონული კოლექციაში ჩართულ ყოველ გამოცემას თან უნდა ერთვოდეს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (მეტამონაცემები) და ძებნა შესაძლებელია როგორც მეტამონაცემებში, ასევე დოკუმენტების სრულ ტექსტებში. ამასთანავე, ინტერნეტში არსებულ ელექტრონული დოკუმენტებისთვის შესაძლებელია ელექტრონული კატალოგის შექმნა ავტომატურად ისეთი პროგრამის გამოყენებით, რომელიც აკმაყოფილებს OAIPMH (Open Archive Initiative Protocol for Metadata Harvesting) სტანდარტს. ეს ბოლო მიდგომა იმით არის ღირშესანიშნავი, რომ არ არის საჭირო მთელი დოკუმენტების გადმოწერა იმისათვის, რომ შეიქმნას შეერთებული

ინტერნეტ კატალოგი მოცემულ თემაზე ინტერნეტში სხვადასხვა სერვერებზე და სხვადასხვა ელექტრონულ კოლექციებში მოთავსებული დოკუმენტებისთვის. ამიტომ HTML დოკუმენტებში სასურველია, რომ თავი არ იყოს ცარიელი და მასში მეტამონაცემების რაღაც მინიმალური რაოდენობა მაინც იყოს (სათაური, ავტორი, თემა), რაც აგრეთვე იძლევა საშუალებას, რომ ინტერნეტის ზოგადი ძებნის მექანიზმებით (მაგ., Google-ით) ეს დოკუმენტი უფრო ადვილად მოიძებნოს. ძებნის მექანიზმებით სრულ ტექსტებში ძებნის შესაძლებლობამ თავიდან ზოგიერთს შეუქმნა მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს მეტამონაცემები საჭირო არ არის. მით უმეტეს რომ გამოირკვა, რომ ინტერნეტ გამოცემების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა არა ნაკლებ რთულია, თუ მეტი არა, ვიდრე ბეჭდური გამოცემებისა. მართლაც, წარმოიდგინეთ ინტერნეტ მწერალი, რომელიც პირდაპირ ინტერნეტში ქმნის ერთ ნაწარმოებს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში და, დროდადრო შეაქვს მასში ცვლილებები. ამჟამად მიმდინარეობს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ახალი საერთაშორისო სტანდარტის შექმნა სახელწოდებით „Resource Description and Access“ [17], რომელმაც ერთდროულად უნდა შეცვალოს დაბლინ კორიც და, მთელ მსოფლიოში გავრცელებული, ბეჭდური გამოცემების ანგლო-ამერიკული საკატალოგიზაციო წესები - AACR2 [18].

### **ევროპული ბიბლიოთეკა და ევროპული ციფრული ბიბლიოთეკა**

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, შვეიცარიის განვითარების ფონდის დახმარებით, გახდა ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის (CENL-ის) [19] წევრი. CENL-ის მისია გახლავთ:

1. ნებისმიერი ადამიანის უზრუნველყოფა სწრაფი, ამომწურავი, მრავალენოვანი და გრძელვადიანი წვდომით ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების ფონდებთან და ინფორმაციასთან და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფასოდ;
2. ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის აგება;
3. ევროპული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და ცოდნის დაცვა;
4. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება ეროვნული ბიბლიოთეკების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;
5. ევროპული კულტურის ძირითადი ღირებულების - კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნების ხელშეწყობა;
6. კოოპერაცია კულტურული მემკვიდრეობის სხვა ინსტიტუტებთან როგორც ევროპაში, ასევე დანარჩენ მსოფლიოში.

CENL-ის 2005-2008 წლების სტრატეგიული გეგმის ზოგიერთი მიზანი

#### **მიზანი 1**

გაციფრებისადმი კოოპერაციული და ფართო მიდგომის აქტიური ხელშეწყობა ევროპის ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და ევროპული ბიბლიოთეკების შესაბამის ეროვნულ ქსელებში.

#### **მიზანი 2**

“ევროპული ბიბლიოთეკის”, როგორც ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების კოოპერაციის სამოდელო პლატფორმის და ორგანიზაციული ქსელის, მათ ციფრულ

მასალებთან, კოლექციებთან, კატალოგებსა და მომსახურებასთან წვდომის იდეალური წერტილის წინ წამოწევა.

### **მოქმედებები**

- 2.1 CENL-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა განიხილოს ყველა შესაძლებლობა, რათა ხელი შეუწყოს და დააჩქაროს CENL-ის წევრი ბიბლიოთეკების სრულ განწევრიანებას „ევროპულ ბიბლიოთეკაში“ და ამით უზრუნველყოს საქმისა და მოვალეობების სრული განაწილება ევროპაში.
- 2.2 წარადგინოს საპროექტო წინადადება ევროკავშირის წევრი ქვეყნების დარჩენილი ეროვნული ბიბლიოთეკების ინტეგრაციისა და „ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის“ შექმნის შესახებ.
- 2.3 განავრცოს „ევროპული ბიბლიოთეკა“ „ევროპულ ციფრულ ბიბლიოთეკამდე“.

### **მიზანი 3**

ევროპაში ეროვნული ბიბლიოთეკების როლის წინ წამოწევა და მათი პასუხისმგებლობის ამაღლება ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და ამ სფეროში ცოდნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

### **მიზანი 4**

კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნობის, როგორც ევროპული კულტურის ძირითადი ღირებულებისა და ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების მიერ მომხმარებელთა მომსახურების უმნიშვნელოვანესი თვისების, მხარდაჭერა.

### **მოქმედებები**

- 4.1 მონაწილეობა მიიღოს ინფორმაციის მრავალენოვანი ძეგლის განვითარების პროექტებში, როგორცაა MACS და MSAC.
- 4.2 მხარი დაუჭიროს მრავალენოვან საქმიანობასა და სამუშაოებს „ევროპის ბიბლიოთეკაში“.
- 4.3 გაითვალისწინოს და განიხილოს მრავალენოვნობის პრობლემის საკითხები ახალი პროექტების შემუშავებისას.

### **მიზანი 5**

გამომცემლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

### **მიზანი 6**

კერძო სექტორთან თანამშრომლობის ახალი მოდელების ხელშეწყობა.

### **მიზანი 7**

ეროვნული ბიბლიოთეკების, როგორც ეროვნული საბიბლიოთეკო ფონდების და კულტურული მემკვიდრეობის განმკარგველის და დამცველის, როლის წინ წამოწევა ციფრული მასალების გრძელვადიანი დაცვისა და მათთან ხელმისაწვდომობის ყველა ასპექტის მხარდაჭერით.

### **მიზანი 8**

საინფორმაციო საზოგადოების ნებისმიერი მომდევნო ინიციატივის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის როლის შესრულება.

## მიზანი 9

ეროვნული ბიბლიოთეკების მომსახურება ონლაინ ფორუმით გამოცდილების გაზიარების და გაცნობის, საუკეთესო პრაქტიკის და მაღალი ხარისხის მოდელების წახალისებისა და გავრცელების და მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით.

## მიზანი 10

CENL-ის წევრებს შორის კოოპერაციისა და მათ მიერ სტანდარტების გამოყენების მხარდაჭერა.

“ევროპული ბიბლიოთეკის” შექმნის ინიციატივა (The European Library – [20] ) ეკუთვნის ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციას (CENL-ს), რომლის ეგიდით დაარსებული “ევროპული ბიბლიოთეკა” უზრუნველყოფს ევროპის მთავარი ეროვნული ბიბლიოთეკების ელექტრონულ და სხვა საბიბლიოთეკო რესურსებთან უნიფიცირებულ წვდომას.

“ევროპულ ბიბლიოთეკაში” <http://www.theeuropeanlibrary.org/portal/index.html> დღეისათვის ინტერფეისის ენის გამოცვლა და ძებნა შესაძლებელია 20 ევროპულ ენაზე, როგორც ელექტრონულ კატალოგებში ასევე, ციფრულ კოლექციებში. საკლასიფიკაციო სისტემად “ევროპულ ბიბლიოთეკაში” გამოყენებულია დიუის ათობითი კლასიფიკაცია. ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების უმეტესობა იყენებს დიუის ათობით კლასიფიკაციას და MARC21-ს. გერმანიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, მიუხედავად იმისა რომ იგი უკვე წარმოდგენილია „ევროპულ ბიბლიოთეკაში», თარგმა დიუის ათობითი კლასიფიკაცია გერმანულად და დასახა გეგმა MARC21-ზე გადასასვლელად. გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკა ახორციელებს პროექტს „The CrissCross project“, რომლის ფარგლებში ამყარებს კავშირებს დიუის ათობით კლასიფიკაციასა და რამდენიმე რუბრიკატორს შორის (LCSH, RAMEAU and SWD). აღსანიშნავია, აგრეთვე, გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე სტანდარტების გვერდი [21], საიდანაც ჩანს სტანდარტიზაციის რა მიმართულებებია დღეს მათთვის მნიშვნელოვანი.

გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ქ-ნა ელიზაბეთ ნიგემანმა (Elisabeth Niggemann) წარმოადგინა ანგარიში მრავალენოვანი საგნობრივი წვდომის (MACS – Multilingual Access to Subjects) პროექტის შესახებ. ამ პროექტში მონაწილეობენ ბრიტანეთის ბიბლიოთეკა (რომელიც იყენებს კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივ რუბრიკატორს), საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, გერმანიისა და შვეიცარიის ეროვნული ბიბლიოთეკები. დამყარდა ურთიერთგადასახადება გადასვლები ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ რუბრიკატორებს შორის, რუბრიკატორებსა და საკლასიფიკაციო სისტემებს UDC-სა და DDC-ს შორის. შვეიცარიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ასევე თარგმა გერმანული რუბრიკატორი ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა სხვა მრავალენოვან პროექტებზე: MSAC – Multilingual Subject Access to Catalogues of National Libraries; Interoperability between subject headings and classification systems; Interoperability between different thesauri and subject indexing tools და სხვ. აღბათ ჩვენთვის ზედმიწევნით სასრგებლო იქნებოდა შვეიცარული სამენოვანი რუბრიკატორის თარგმნა ქართულად (და შესაძლოა, რუსულად) ისევე როგორც, კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორის (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე

გავრცელებული რუბრიკატორის) თარგმნა. ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ ქართული დოკუმენტები ძეგნებადი და ხელმისაწვდომი გახდებოდა მსოფლიოს არაქართულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის.

„ევროპულ ბიბლიოთეკის» პორტალი არის CENL-ის მთავარი პროდუქტი, რომელსაც იგი ინახავს თავისი ფულით და ცდილობს, რომ იგი გახდეს მოდელი ევროპის ყველა ეროვნული ბიბლიოთეკისთვის. „ევროპულ ბიბლიოთეკის» ანგარიშში CENL-ის მიმართ დასახულია “ევროპულ ბიბლიოთეკის” უახლოესი ამოცანები:

- გაციფრებული მასალის გატექსტება;
- OAI PMH სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა ევროპულ ეროვნულ ბიბლიოთეკებში;
- პორტალის გამოყენებადობის გაუმჯობესება;
- ავტომატური გადასახვების დანერგვა მრავალენოვან საგნობრივ თეზაურუსში;
- ვებ-მომსახურების გაფართოება;
- მომსახურების პერსონალიზაციისა და ანოტირების სამსახურის დამატება.

ყველა მონაწილემ აღიარა, რომ “ევროპულ ბიბლიოთეკა” იქნება “ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის” (რომელსაც აფინანსებს ევროკომისია) მთავარი კოორდინატორი და შემსრულებელი.

ევროპულ ეროვნულ ბიბლიოთეკებს შემოაქვთ ეროვნული ბიბლიოთეკების მუშაობის შეფასების ისეთი ახალი ინდიკატორები როგორცაა:

გაციფრებული შენახვის ერთეულების დასახელებების რაოდენობა და მისი პროცენტული სიდიდე მთელ ფონდში არსებული დასახელებებთან მიმართებაში საანგარიშო წელს,

ბიბლიოთეკის საიტიდან ჩამოტვირთული გაციფრებული მასალის რაოდენობა საანგარიშო წელს,

ციფრული დაცვისთვის გადაცემული გაციფრებული მასალის რაოდენობა საანგარიშო წელს,

ელექტრონული მომსახურების პროცენტული რაოდენობა ბიბლიოთეკაში და სხვ.

### მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა

კონგრესის ბიბლიოთეკის უფროსი მრჩევლის ჯონ ვან ოუდენარენის (John van Oudenaren) მოხსენებაში [22] განხილული იყო კონგრესის ბიბლიოთეკის ინიციატივა მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნის შესახებ. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნას გააჩნია რამდენიმე წინაპირობა: 1. მსოფლიოში გაციფრებული მასალა არ არის საკმარისი რაოდენობის. ამ მხრივ ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის შექმნა მნიშვნელოვნად შეავსებს დანაკლისს, მაგრამ განვითარებადი ქვეყნების მასალების გაციფრება ისევ დარჩება პრობლემური; 2. დიდი სამეცნიერო და კულტურული ღირებულების მასალები, რომლებსაც დიდი ხნით შეუძლიათ შეაჩერონ მომხმარებლების ყურადღება საიტზე, საერთო გაციფრებულ მასალასთან მიმართებაში, კიდევ უფრო ნაკლებია; 3. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა უნდა იყოს საკმარისად დიდი მოცულობის, ისე რომ მომხმარებლის ნებისმიერ შეკითხვაზე გასცეს რამდენიმე ავტორიტეტული გაციფრებული მასალა; 4. ელექტრონული დოკუმენტების კატალოგიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და შესაძლოა მათ

დასჭირდეთ მეტი მეტამონაცემების მიწერა, ვიდრე დღეს არის პრაქტიკაში მიღებული. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნასთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა რამდენიმე ზოგადი გადაწყვეტილება: 1. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა განთავსებული იქნება ერთ ინტეგრირებულ საიტზე, რომელსაც ექნება სარკეები სხვადასხვა ქვეყნებში; 2. იგი იუნდა გახდეს ფართოდ მიმოფანტული საინფორმაციო წყაროების „ყოველმხრივ სანდო ციფრული საცავი»; 3. მასალების ციფრული გამოსახულებები შეიძლება განთავსებული იყოს არა მხოლოდ მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკასა და მის სარკეებში, არამედ ნებისმიერი დონის სანდო ვებ-საიტებზე; 4. მრავალენოვანი ძებნა და მოძიებული მრავალენოვანი მასალების დისპლეიზე გამოტანა იქნება პროექტის ძირითადი ელემენტი, რომელიც პროექტში თავიდანვე არის ჩადებული და ნაბიჯ-ნაბიჯ იქნება განხორციელებული; 5. უნდა განისაზღვროს მეცნიერებისა და სპეციალისტების ნუსხა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მასალის შერჩევაზე მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკისთვის. გარდა ამისა უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს ცალკეულ მეცნიერებს, ქვეყნებს, ბიბლიოთეკებს და სხვებს მნიშვნელოვანი შინაარსის მასალა ან დაუმატოს ან დაუკავშიროს მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკას.

კონგრესის ბიბლიოთეკა მიესალმება ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის შექმნას და მზად არის მასთან თანამშრომლობისთვის. კონგრესის ბიბლიოთეკას კარგად ესმის ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის შექმნიას სიძნელე და ამიტომ იგი რეალისტურად აფასებს ევროპული ბიბლიოთეკების მონაწილეობის შესაძლებლობას მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის პროექტში.

ყოველ შემთხვევაში დასაწყისში, მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის მთავარი მიმართულება იქნება განვითარებადი ქვეყნები, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და მათი ნაწილები. ამ ზოგადი მოსაზრებების გარდა კონგრესის ბიბლიოთეკა მზადაა გაუზიაროს იდეები, ტექნოლოგიები და მასალები ევროპულ ციფრულ ბიბლიოთეკას. რადგან მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის გეგმის შედგენის პროცესი ზუსტად ამჟამად მიმდინარეობს, წინადადებები კოოპერაციის შესახებ შეიძლება განხილულ და ჩართულ იქნას გეგმაში ამ ადრეულ ეტაპზე. და მართლაც, 2006 წლის 29 ნოემბერს კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორმა ჯეიმს ბილინგტონმა და რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ვლადიმერ ზაიცევმა ხელი მოაწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა გახდა მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის პროექტის სრულყოფილი მონაწილე [23].

ამგვარად, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას თანამედროვეობის ერთი-ერთი უმთავრესი ამოცანაა აქვს გადასაჭრელი: ქართული დოკუმენტური კულტურული მემკვიდრეობა იქნას ჩართული “ევროპულ ბიბლიოთეკაში”, “ევროპულ ციფრულ ბიბლიოთეკაში” და “მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკაში”. ამ უძნელეს ამოცანებს ჩვენ ვერ მოვკრევიტ სახელმწიფო სტრუქტურების, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელების, ქართული საზოგადოების და დასავლეთის სპეციალისტებისა და დონორების მხარდაჭერის გარეშე.

## დამოწმებები

1. [http://www.loc.gov/about/welcome/speeches/wdl/wdl\\_6-6-05.html#skip\\_menu](http://www.loc.gov/about/welcome/speeches/wdl/wdl_6-6-05.html#skip_menu)
2. <http://www.netlingo.com/lookup.cfm?term=interoperability>
3. [http://en.wikipedia.org/wiki/Tim\\_Berners-Lee](http://en.wikipedia.org/wiki/Tim_Berners-Lee)
4. <http://www.w3.org/2001/sw/>
5. Resource Description Framework
6. XML
7. <http://www.loc.gov/standards/>
8. *A Logical Interpretation of RDF*, Conen, W., Klapsing, R..Circulated to [RDF Interest Group](#), August 2000. <http://www.kbs.uni-hannover.de/Lehre/KI2/SS02/cis00013-body.pdf>
9. URI – Uniform Resource Identifier
10. <http://dublincore.org/>
11. Z39.50
12. OAIPMH
13. OpenURL
14. <http://www.doi.org/>
15. <http://www.ifla.org/VII/s13/frbr/frbr.pdf>
16. <http://www.ifla.org/VII/s13/frbr/frbr1.htm#3.1>
17. <http://www.collectionscanada.ca/jsc/index.html>
18. Danskin, Alan. „Tomorrow never knows“: the end of cataloguing?“. – IFLA 2006 // <http://www.ifla.org/IV/ifla72/papers/102-Danskin-en.pdf>
19. <http://www.cenl.org/>
20. <http://www.theeuropeanlibrary.org/portal/index.html>
21. <http://www.ddb.de/eng/standardisierung/index.htm>



22. <http://www.nplg.gov.ge/ge/sponsors/CENL.pdf>

23. [http://www.nlr.ru/news/vid\\_news.php?id=579](http://www.nlr.ru/news/vid_news.php?id=579)

## 6. ზაალ (ზაზა) აბაშიძე, თეიმურაზ ჩხენკელი

საინფორმაციო ტექნოლოგიები მსოფლიოს ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

### ელექტრონული კატალოგები და მონაცემთა ბაზები

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა წარმოადგენს საქართველოს ბიბლიოთეკების მეთოდური ხელმძღვანელობის ცენტრს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების დარგში და ქვეყნის მოწინავე ბიბლიოთეკას საინფორმაციო რესურსების შექმნისა და გამოყენების თვალსაზრისით. ეროვნული ბიბლიოთეკის ლოკალურ კომპიუტერულ ქსელში 130-ზე მეტი კომპიუტერია, რომელთაგან 90 ჩართულია ინტერნეტში. ამასთანავე ა. დიუმას სახ. ფრანგულ მედიათეკაში, ჰუმბოლდტის სახ. გერმანულ სამკითხველო დარბაზში, აირექსის ინტერნეტთან დაშვებისა და სწავლების ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში გახსნილ e-კლუბში მკითხველებისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი 30-მდე კომპიუტერის გამოყენებით. 2005 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დასრულდა ქართული წიგნების ბარათული კატალოგის რეტროკონვერსია. 2006 წლის 27 ივლისის მონაცემებით ქართული წიგნების შესახებ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების მთლიანი რაოდენობა 121 856 შეადგენს და განთავსებულია სამ ელექტრონულ კატალოგში: ქართული წიგნი (1629 – 1952), ქართული წიგნები (1953 – 1986) და ქართული წიგნები (1987-დან დღემდე). ეს ელექტრონული კატალოგები შექმნილია იუნესკოს პროგრამული უზრუნველყოფის CDS/ISIS-ის გამოყენებით, ხოლო ინტერნეტში გამოქვეყნებულია WebISIS-ის მეშვეობით. ISIS-ის გამოყენებით შექმნილია 14 ელექტრონული კატალოგი და მონაცემთა ბაზა, რომელთა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების საერთო რაოდენობა 350 ათასამდეა, ხოლო მოცულობა - 530 Mb:

მონაცემთა ბაზები

გთხოვთ, ამოირჩიეთ მონაცემთა ბაზა

ჩანაწერები

<input type="checkbox"/>	<a href="#">AMAT</a>	-	<a href="#">ჟურნალების</a>	<a href="#">მატიანე</a>	<a href="#">(1939-...)</a>	⇒	68,078
ქართული ჟურნალების სტატიების მატიანე (1939-...)							
<input type="checkbox"/>	<a href="#">CART</a>	-	<a href="#">ქართული</a>	<a href="#">წიგნები</a>	<a href="#">(1987-....)</a>	⇒	28,667
ქართულენოვანი წიგნების ელექტრონული კატალოგი (1987-....)							

☐	<a href="#">CDROM</a>	-	<a href="#">კომპაქტ-დისკები</a>		⇒	2,207
	კომპაქტ-დისკების ელექტრონული კატალოგი					
☐	<a href="#">DIS</a>	-	<a href="#">დისერტაციები</a>		⇒	7,447
	საქართველოში დაცული დისერტაციების ელექტრონული კატალოგი					
☐	<a href="#">GFB</a>	-	<a href="#">უცხოენოვანი</a>	<a href="#">ლიტერატურა</a>	⇒	17,110
	საქართველოში გამოცემული უცხოენოვანი ლიტერატურა					
☐	<a href="#">LEVAN</a>	-	<a href="#">ქართული</a>	<a href="#">წიგნი</a>	<a href="#">(1629-1952)</a>	⇒ 33,887
	ქართული წიგნის ელექტრონული კატალოგი (1629-1952)					
☐	<a href="#">MICRO</a>	-	<a href="#">მიკროფორმები</a>		⇒	1,531
	მიკროფორმები					
☐	<a href="#">MUS</a>	-	<a href="#">სანოტო</a>	<a href="#">გამოცემები</a>	⇒	10,080
	სანოტო გამოცემების ელექტრონული კატალოგი					
☐	<a href="#">PERA</a>	-	<a href="#">ჟურნალების</a>	<a href="#">მატიანე</a>	<a href="#">(1906-1912)</a>	⇒ 11,162
	ქართული ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1906-1912)					
☐	<a href="#">RDLIB</a>	-	<a href="#">საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ბიბლიოთეკა (საცდელი ვერსია)</a>		⇒	12,957
	საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი					
☐	<a href="#">REF</a>	-	<a href="#">დისერტაციების</a>	<a href="#">ავტორეფერატები</a>	⇒	12,548
	1988 წლიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში შემოსული დისერტაციების ავტორეფერატები					
☐	<a href="#">SATI</a>	-	<a href="#">გაზეთი</a>	<a href="#">'24 საათი'</a>	<a href="#">(2004-....)</a>	⇒ 15,129
	გაზეთ '24 საათის' ანალიტიკური მონაცემთა ბაზა (2004-....)					
☐	<a href="#">SER</a>	-	<a href="#">გაზეთი</a>	<a href="#">'საქართველოს რესპუბლიკა'</a>	<a href="#">(1992-2000)</a>	⇒ 41,022
	გაზეთ 'საქართველოს რესპუბლიკის' ანალიტიკური მონაცემთა ბაზა (1992-2000)					
☐	<a href="#">SER00</a>	-	<a href="#">გაზეთი</a>	<a href="#">'საქართველოს რესპუბლიკა'</a>	<a href="#">(2001-...)</a>	⇒ 41,413
	გაზეთ 'საქართველოს რესპუბლიკის' ანალიტიკური მონაცემთა ბაზა (2001-...)					
☐	<a href="#">USSR</a>	-	<a href="#">ქართული</a>	<a href="#">წიგნები</a>	<a href="#">(1953-1986)</a>	⇒ 59,302
	ქართული წიგნის ელექტრონული კატალოგი (1953-1986)					

WebISIS-ის მეშვეობით ხელმისაწვდომი ელექტრონული კატალოგებისა და მონაცემთა ბაზების მისამართი ინტერნეტში შემდეგია:

<http://www.nplg.gov.ge/ec/changedb.php?lang=ge>

გარდა CDS/ISIS-ისა და WebISIS-ისა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ელექტრონული კატალოგებისა და მონაცემთა ბაზების შესაქმნელად გამოყენებულია MS ACCESS - ქართული გაზეთების ელექტრონული კატალოგი (82 Mb), რომლის მისამართია: <http://www.nplg.gov.ge/paper/start.php> და MySQL - ის მონაცემთა ბაზები: ქართველი ავტორები (3,7 Mb), მისამართი: <http://www.nplg.gov.ge/authors/>; კომპიუტერული და საბიბლიოთეკო ტერმინების ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი (2,3 Mb), მისამართი: <http://www.nplg.gov.ge/dictionary/>

ყველა ელექტრონულ კატალოგსა და მონაცემთა ბაზაში ჩანაწერების საერთო რაოდენობა 360 ათასს აღემატება, ხოლო მოცულობა - 630 Mb -ს.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში CDS/ISIS-ისა და MS ACCESS -ის გამოყენებით მხოლოდ კატალოგიზაცია ავტომატიზებული და ისიც არასრულყოფილად, ვინაიდან შეუძლებელია საკუთარი სახელებისა და რუბრიკატორის ავტორიტეტული ფაილების გამოყენება, დუბლეთური ჩანაწერების გამოყოფა და ა.შ. მაგრამ ავტორიტეტული ფაილების გამოყენების საშუალება რომც იყოს შესაძლებელი, საკუთარი სახელებისა და რუბრიკატორის ავტორიტეტული ფაილების შექმნა, თავის

მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისთვის გარკვეულ სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა ეროვნული ბიბლიოთეკების უმრავლესობაში დიდი ხანია გადაწყვეტილია, ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკები განაგრძობენ ავტორიტეტული ფაილების სრულყოფას და მრავალენოვან საგნობრივ რუბრიკატორებზე მუშაობას (<http://www.telmemor.net/results.php>). კერძოდ, გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკა ახორციელებს პროექტს „The CrissCross project“, რომლის ფარგლებში ამყარებს კავშირებს დიუის ათობით კლასიფიკაციასა და რამდენიმე რუბრიკატორს შორის (LCSH, RAMEAU and SWD). აღსანიშნავია, აგრეთვე, გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე სტანდარტების გვერდი (<http://www.ddb.de/eng/standardisierung/index.htm>), საიდანაც ჩანს სტანდარტიზაციის რამდენიმე მიმართულებებია დღეს მათთვის მნიშვნელოვანი:

Standardisation

### *Office for Library Standards*

- [Survey](#)
- [Selected links](#)
- [Newsletter Standardisierung und Erschließung](#)

### *Cataloguing codes*

- [Development of codes](#)
- [Codes, work tools and drafts](#)

### *Formats and Interfaces*

- [Moving to MARC 21](#)
- [MAB](#)
- [MABxml](#)

### *Authority files*

- [Corporate Body Authority File \(GKD\)](#)
- [Name Authority File \(PND\)](#)
- [Subject Headings Authority File \(SWD\)](#)

### *Long-term Preservation*

- [Long-term preservation metadata for electronic resources \(LMER\)](#)

### *Metadata*

- [Metadata](#)

## *Persistent Identifier*

- [Persistent Identifier](#)

ელექტრონული კატალოგებისა და მონაცემთა ბაზების შესაქმნელად და გამოსაყენებლად, ოთხი პროგრამული პროდუქტის ნაცვლად, უმეტეს ეროვნულ ბიბლიოთეკებს დიდი ხანია დანერგილი აქვთ რომელიმე ერთი ავტომატიზებული ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა, რომლის მეშვეობითაც, კატალოგიზაციის გარდა, ავტომატიზებულია აგრეთვე ისეთი საბიბლიოთეკო პროცესები, როგორცაა დაკომპლექტება, მკითხველის მომსახურება, სტატისტიკა, მართვა და სხვ. წესისამებრ, ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემებში გამოიყენება Z39.50 სტანდარტი, რომელიც, MARC ფორმატთან ერთად, ბიბლიოთეკარს ბიბლიოგრაფიული მონაცემების ინტერნეტში გაცვლისა და, შესაბამისად, კორპორაციული კატალოგიზაციის საშუალებას აძლევს. მაგალითად, უცხოური მასალის კატალოგიზაციის დროს ბიბლიოთეკარს შეუძლია თავის ელექტრონულ კატალოგში გადმოიწეროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი კონგრესის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგიდან და დაუმატოს შენახვის შიფრი და უაკის ინდექსი. საქართველოს მასშტაბით კი, მაგალითად, ქუთაისში გამოცემული წიგნი შეიძლება იქვე იყოს კატალოგიზებული და გადმოწერილი ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში და პირიქით. მთელი მსოფლიოს ბიბლიოთეკები რესურსების ეკონომიის და ხარისხის ამაღლების მიზნით იყენებენ კორპორაციულ კატალოგიზაციას. ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც არსებობს ისეთი პროგრამული პროდუქტი - ProCite, რომლიც განხორციელებულია Z39.50 სტანდარტის კლიენტის ფუნქცია, ანუ გადმოწერა შეიძლება, მაგრამ ჩვენგან გადაწერა (სერვერის ფუნქცია) - არა. სამწუხაროდ, ProCite ნაწილობრივად იყო გამოყენებული მხოლოდ კომპაქტ-დისკების კატალოგიზაციის დროს. ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ИРБИС-ის გამოცდასთან და დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები. ИРБИС-ის მოდულების გაქართულება უკვე დაწყებულია, უნდა შემოწმდეს მისი ყველა მოდული რეალურ პირობებთან დაახლოებულ სიტუაციაში და განსაკუთრებით Z-ИРБИС-ის სერვერისა და კლიენტის ფუნქციები. ИРБИС-ის ან სხვა თანამედროვე ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემების დანერგვა საქართველოს მასშტაბით, რომლებშიც დაცულია Z39.50 სტანდარტი, საშუალებას მოგვცემს, კორპორაციულ კატალოგიზაციასთან ერთად, ვაწარმოთ საბიბლიოთეკო მასალების შეერთებული კატალოგები ინტერნეტის გამოყენებით. ИРБИС-ის ელექტრონულ კატალოგში შესაძლებელი იქნება ბმულების ჩასმა შესაბამის ვებ-დოკუმენტებზე. CDS/ISIS-ის კატალოგებში ჩვენი ბიბლიოთეკა იყენებს UNIMARC-ს, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების კომპიუტერულ საერთაშორისო სტანდარტს, გარკვეული დარღვევებით. ჩვენი CDS/ISIS-ის ელექტრონული კატალოგების ИРБИС-ის ელექტრონულ კატალოგში გადატანა (CDS/ISIS-ის იმპორტ-ექსპორტის ფუნქციით, რომელშიც დაცულია ბიბლიოგრაფიული მონაცემების მაგნიტურ მატარებლებზე გაცვლის ISO2709 საერთაშორისო სტანდარტი) გამოასწორებს ამ დარღვევებს. რაც შეეხება MS ACCESS-ში ქართული გაზეთების ელექტრონულ კატალოგს, რომელშიც არც UNIMARC-ის ჭდეებია და არც სტანდარტული იმპორტ-ექსპორტის ფუნქცია, მისი გადატანისთვის ИРБИС-ში საჭირო იქნება სპეციალური პროგრამის დაწერა. ИРБИС-ისთვის არსებობს MARC21-ში კონვერტირების პროგრამა, რომელიც გაცილებით

უფრო გავრცელებული სტანდარტია მსოფლიოში, ვიდრე UNIMARC-ი. კარგი იქნებოდა, რომ ИРБИС-ის დახმარებით შეგვძლებოდა ჩვენი ელექტრონული კატალოგის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გამოტანა მომხმარებლისთვის 4 სახით: ტრადიციული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის, UNIMARC-ისა და MARC21-ის ჭდეებიანი ჩანაწერების და აგრეთვე ისეთი ჩანაწერის სახით, რომელშიც მოყვანილი იქნებოდა ველების დასახელებები.

ინტეგრირებული ავტომატიზებული საბიბლიოთეკო სისტემები 25 წელიწადზე მეტია რაც არსებობს და სხვა ეროვნულმა ბიბლიოთეკებმა უკვე მათი რამდენიმე თაობა გამოიყენეს. რაც შეეხება ელექტრონულ ბიბლიოთეკებს, მათი მასობრივი დანერგვა ეროვნულ ბიბლიოთეკებში თითქმის 10 წელიწადია რაც დაიწყო. ამჟამად სხვა ეროვნული ბიბლიოთეკების მთელი ძალისხმევა მიმართულია ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ეროვნული ინტერნეტ არქივების განვითარებისკენ, ჩვენ კი გვიხდება, აგრეთვე, მესამე მიმართულების სერიოზული მხარდაჭერა: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაინერგოს პირველი ინტეგრირებული ავტომატიზებული საბიბლიოთეკო სისტემა. მართალია, რამდენიმე წლის შემდეგ იგი მოძველდება, მაგრამ მისი შეცვლა შემდეგი თაობის სისტემით გაცილებით უფრო ადვილი იქნება.

### **ელექტრონული ბიბლიოთეკები მსოფლიოში**

2003 წლის იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე მიიღეს „ციფრული მემკვიდრეობის დაცვის ქარტია“ [1], რომლის თანახმად ციფრული მემკვიდრეობა შედგება ადამიანის ცოდნისა და შემოქმედების გამოსახვის უნიკალური რესურსებისგან. იგი მოიცავს ტექსტებს, მონაცემთა ბაზებს, უძრავ და მოძრავ გამოსახულებებს, ხმოვან გრაფიკულ ფაილებს, პროგრამულ უზრუნველყოფასა და ვებ-გვერდებს. ციფრული მემკვიდრეობის დაცვის მიზანია მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. არსებობს საფრთხე, რომ მსოფლიოს ციფრული მემკვიდრეობა დაიკარგოს შთამომავლობისთვის. ამის რეალური მიზეზებია ციფრული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის სწრაფი მორალური მოძველება, მემკვიდრეობის შემადგენელი საინფორმაციო რესურსების განუსაზღვრელობა, გაურკვეველობა ამ რესურსების დაცვისა და შენახვის მეთოდებსა და პასუხისმგებლობაში, ციფრული მემკვიდრეობის მხარდამჭერი კანონმდებლობის უქონლობა.

2005 წელს კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორმა ჯეიმს ბილინგტონმა წამოაყენა „მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნის წინადადება“ [2], რომლის თანახმად, კულტურის ნიმუშების ის მდიდარი მარაგი, რომელიც ამერიკულ ორგანიზაციებშია დაცული, მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის მეშვეობით უფასოდ დაუბრუნდება მსოფლიოს ახალი ფორმით, რომლითაც უზრუნველყოფილია გაცილებით უფრო უნივერსალური და საყოველთაო ხელმისაწვდომობა ვიდრე ოდესმე ყოფილა. აშშ დაინტერესებულია მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნით, რადგან ამერიკა თვითონ არის მსოფლიო ცივილიზაცია, რომლის მოქალაქეთა შორის უნიკალურად არის წარმოდგენილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ჯეიმს ბილინგტონის აზრით, მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის აგებისათვის ყველაზე

მნიშვნელოვანია ორი პრობლემის გადაწყვეტა: 1) როგორ დავიცვათ სწორი ბალანსი საავტორო უფლებების დაცვასა და ინტერნეტში მასალების მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას შორის; 2) როგორ შევქმნათ მეტამონაცემები (კატალოგიზაციის ქსელური ექვივალენტი) და ინტეროპერაბულობა (სხვადასხვა ნაწილებისგან შემდგარი სისტემის უნარი იმუშაოს ავტომატურად, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სისტემის ნაწილები აკმაყოფილებენ მიღებულ სტანდარტებს - განმარტებულია ინტერნეტის ცნობილ ლექსიკონში - <http://www.netlingo.com/lookup.cfm?term=interoperability> ).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკები სხვადასხვა მიზანს ემსახურებიან, კერძოდ, მთელი ეროვნული დოკუმენტური კულტურული მემკვიდრეობის (მათ შორის იშვიათი გამოცემების, დაზიანებული საბიბლიოთეკო მასალების, ხშირად მოთხოვნადი გამოცემების, მცირეტირაჟიანი გამოცემების და სხვათა) გაციფრებას, შენახვას, დაცვასა და მასთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ახალი ბეჭდური გამოცემების ვირტუალური გამოფენის შექმნას მოსახლეობის ინფორმირებისა და გამომცემელთა დაინტერესების მიზნით, ბეჭდური გამოცემების ელექტრონული არქივისა და საძიებო სისტემის შექმნას, ქართული ინტერნეტის ელექტრონული არქივისა და საძიებო სისტემის შექმნას, რაც შეიძლება მეტი კატეგორიის მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის განათლების დონის ამაღლებას გარკვეულ საკითხებში (მაგ., სამოქალაქო განათლება), მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკაში ღირსეული ადგილის დაკავებასა და ეროვნული კულტურის წარმოჩენას, საქართველოს ინტერესების დაცვას ვირტუალურ სამყაროში და ა.შ. ცხადია, რომ ამ მიზნების მიღწევას ეროვნული ბიბლიოთეკა მხოლოდ საკუთარი რესურსებით ძალიან დიდ დროს მოანდომებს. ამიტომაც მნიშვნელოვანია ციფრული ბიბლიოთეკების შექმნაში ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერა ფართო საზოგადოებრიობის მიერ, მათ შორის საქმიანი წრეებისა და სხვა ორგანიზაციების, გამომცემლობებისა და ავტორების მიერ.

მსოფლიოში ელექტრონული ბიბლიოთეკების გავრცელებას ხელი არ შეუშლია ბეჭდური პროდუქციის ზრდისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო გარემოს არსებობის შემთხვევაში, ელექტრონულ ბიბლიოთეკას შემდეგი უპირატესობები აქვს: 1. ვირტუალური წიგნი ყოველთვის, ყველგან და სხვადასხვა ფორმით არის ხელმისაწვდომი; 2. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში საჭირო წიგნის მონახვა გაცილებით უფრო ეფექტური ხერხებით შეიძლება როგორც ავტორით, სათაურით, საგნობრივი რუბრიკით, საკლასიფიკაციო ინდექსით და სხვა მეტამონაცემებით, ასევე ელექტრონულ ბიბლიოთეკაში შემავალი ყველა ნაწარმოების სრულ ტექსტში სიტყვების ძებნით; 3. ერთი ვირტუალური წიგნი ერთდროულად შეიძლება იკითხოს ბევრმა მკითხველმა; 4. ერთ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში შეიძლება ჩართული იქნეს სხვადასხვა სახის ნაწარმოებები - წერილობითი, მუსიკალური, ფერწერული, გრაფიკული, გახმოვანებული ტექსტები, კინო და სხვა; 5. საერთაშორისო სტანდარტებით შექმნილ ელექტრონულ ბიბლიოთეკას ადვილად შეუძლია გაუზიაროს (გადააწერინოს) სხვა ანალოგიურ ბიბლიოთეკას თავისი შენახვის ერთეულები, ანუ უზრუნველყოს ინტეროპერაბულობა; 6. ელექტრონული ბიბლიოთეკის წყალობით, მნიშვნელოვნად იზრდება შესაბამისი ბეჭდური გამოცემის დაცულობა და ა.შ. მეორე მხრივ, ბეჭდურ გამოცემებს აქვს და ყოველთვის ექნება უპირატესობა ელექტრონულ გამოცემებთან შედარებით, რაც, პირველ რიგში, იმაში მდგომარეობს, რომ წიგნის კითხვას არ

სჭირდება თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად [3] ციფრული კოლექციის შექმნა გარკვეული გეგმის მიხედვით უნდა ხორციელდებოდეს:

1. განისაზღვროს ციფრული კოლექციის შექმნის მიზანი, საჭიროება და მომხმარებელთა საინფორმაციო მოთხოვნები;
2. შეირჩეს ციფრულ კოლექციაში შესატანი მასალები სარედაქციო კოლეგიის მიერ, ჩამოიწეროს შერჩეული მასალების ნუსხა, შემოწმდეს და დახასიათდეს მათი ფიზიკური მდგომარეობა, განისაზღვროს გვერდების საერთო რაოდენობა;
3. შემოწმდეს შერჩეული მასალები საავტორო უფლებების არსებობაზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო უფლებების მფლობელებისგან მიღებულ უნდა იქნეს ნებართვა გამოცემის გაციფრებისა და გაციფრებული მასალით მკითხველთა მომსახურებაზე;
4. განისაზღვროს მოთხოვნები გაციფრებული მასალის ხარისხის მიმართ და შესაბამისად, სკანერებისა და სიმბოლოების ოპტიკური ამოცნობის პროგრამის (OCR) პარამეტრები;
5. განისაზღვროს ციფრული მასალების ფორმატები: რა ფორმატში უნდა იყოს ციფრული მასალა ხელმისაწვდომი მკითხველისთვის და რა ფორმატში უნდა იყოს დაცული ელექტრონულ არქივში; როდესაც მასალა ციფრული სახითაა, საჭიროა თუ არა მისი კონვერტაცია დადგენილ ფორმატებში;
6. განისაზღვროს ელექტრონული დოკუმენტების კატალოგიზაციის (ბიბლიოგრაფიული აღწერილობის, კლასიფიკაციისა და საგნობრივი რუბრიკაციის) წესები, ანუ ელექტრონული დოკუმენტებისთვის მეტამონაცემების მიწერის წესები;
7. ჩამოყალიბდეს მოთხოვნები ელექტრონული ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფის მიმართ და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, ოპენ სორსის (ან თუნდაც უფასოს) გამოყენების, ან საკუთარის შექმნის შესახებ;
8. მიღებულ იქნას გადაწყვეტილება სკანერებისა და გაციფრებასთან დაკავშირებული სხვა კომპიუტერული ტექნიკის შექმნის თაობაზე ან გაციფრების მთელი სამუშაოს გარეშე ორგანიზაციისთვის შეკვეთის შესახებ;
9. გაციფრებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად, მოხდეს თანამშრომლების გამოყოფა და გადამზადება

მხოლოდ ამ 9 მოსამზადებელი პუნქტის შესრულების შემდეგ უნდა დაიწყოს საკუთრივ გაციფრებისა და ციფრული კოლექციის შექმნის პროცესი:

10. შერჩეული მასალების გაციფრებისთვის მომზადება, სკანირება, სკანირების ხარისხის შემოწმება, თუ საჭიროა გატექსტება OCR-ის საშუალებით, გატექსტებული მასალის კორექტირება და ხარისხის შემოწმება;
11. მეტამონაცემების მიწერა ანუ გაციფრებული მასალების კატალოგიზაცია და კატალოგიზაციის ხარისხის შემოწმება;
12. ციფრული კოლექციის შექმნა შერჩეული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;
13. ციფრული კოლექციის ინტერნეტში განთავსება სპეციალურ საიტზე და, მოთხოვნილების მიხედვით, შესაბამისი კომპაქტ-დისკის გამოცემა;

14. ციფრული კოლექციის ელექტრონულ არქივში ჩართვა.

ელექტრონული ბიბლიოთეკის წარმოებისათვის აუცილებელია, რომ თითქმის ყველა ზემოთ დასახელებული პუნქტისთვის შედგეს ზუსტი ინსტრუქცია ან დოკუმენტაცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ბიბლიოთეკის შესაბამისმა თანამშრომელმა.

2006 წელს საქართველო გახდა ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციის „ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის“ (CENL) წევრი, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ევროგაერთიანებაში შემავალი ქვეყნების საერთო ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა და ჩვენც, იმედი გვაქვს, შევიტანთ წვლილს ამ დიდ საქმეში.

ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნის თეორიული საფუძვლები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. მეცნიერული კვლევის საგნად რჩება საავტორო უფლებების მორგება ვირტუალურ სამყაროსთან, ინტეროპერაბულობის უზრუნველყოფა სტანდარტების სრულყოფის მეშვეობით, ციფრული მასალების აღწერილობის ერთიანი სტანდარტის შემუშავება, დინამიკური მონაცემებისა და მონაცემთა ბაზების ელექტრონული არქივების შექმნა, ციფრული მასალების სხვადასხვა ფორმატში დაცვის სასიცოცხლო ციკლის შეფასება და მრავალი სხვა [2: 4]. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ რაც „მსოფლიო აბლაბუდამ“ საყოველთაოდ დაიმკვიდრა ადგილი ყოველდღიურ ცხოვრებაში, გაციფრება, ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნა და მათი ინტერნეტში გამოქვეყნება მთელი მსოფლიოს ბიბლიოთეკებში მასობრივად მიმდინარეობს. ამან წარმოქმნა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მწვავე დეფიციტი, რომლის გადასალახავად შეიქმნა ონლაინ სახელმძღვანელოები [3, 5, 6] და კვალიფიკაციის ამალგების კურსები [7]. წინამდებარე მიმოხილვა ეყრდნობა სწორედ ზემოთ დამოწმებულ კორნელის უნივერსიტეტის ორ სახელმძღვანელოს, რომლებიც, ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ცნობით [4], ტირაჟირებულია მთელ ევროპაში, და გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოს, რომელიც რეკომენდებულია აგრეთვე იუნესკოს მიერ. მიუხედავად ამ სახელმძღვანელოების საერთაშორისო აღიარებისა, ისინი მაინც არ შეიცავენ დეტალურად ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნის ყველა თანამედროვე ასპექტს, მაგალითად „კონტენტ მენეჯმენტ სისტემების“ ადგილს ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნისას. თითოეულ მათგანში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საავტორო უფლებების დაცვის საკითხებს, მაგრამ ამაზე აქ არ იქნება საუბარი.

### **ელექტრონული ბიბლიოთეკის ფუნქციონალური კომპონენტები**

ელექტრონულ ბიბლიოთეკას ტრადიციული ბიბლიოთეკის მსგავსი ფუნქციონალური კომპონენტები აქვს [3]: დაკომპლექტება და დამუშავება, კატალოგიზაცია, საძიებლების (ინდექსების, კატალოგების) წარმოება, შენახვა და დაცვა, ძებნა და გაცემა, ხელმისაწვდომობა ვებ-საიტით, ქსელური მომსახურება და მართვა.

**დაკომპლექტება და დამუშავება** შეიცავს დოკუმენტების შერჩევას, საპრეზენტაციო და დაცვის ფორმატების შერჩევას, დოკუმენტების ციფრული ვარიანტების მიღებას სხვადასხვა გზით (სკანირებისთვის მომზადება, სკანირება, სკანირების ხარისხის შემოწმება, გატექსტება სიმბოლოების ოპტიკური ამოცნობის



პროგრამის საშუალებით, ინტერნეტიდან გადმოწერა, გამომცემლებისგან და ავტორებისგან მიღება და ა.შ.), საჭიროების შემთხვევაში გადაყვანა შერჩეულ ფორმატებში.

**კატალოგიზაცია** წარმოადგენს ელექტრონული დოკუმენტისთვის მეტამონაცემების მიწერას რომელიმე საერთაშორისო სტანდარტის, მაგალითად, Dublin Core (დაბლინ კორის) მიხედვით.

**სადიებლების წარმოება** გულისხმობს სხვადასხვა სახის (ავტორების, სათაურების, თემების, თარიღების და სხვ.) ინდექსების შექმნას, რომლებიც წარმოადგენენ დოკუმენტების ძებნის უძველეს საშუალებას.

**შენახვა და დაცვა** გულისხმობს მიღებული ციფრული მასალის დაცვას კომპიუტერის მეხსიერებაში სხვადასხვა ფორმატებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ციფრული მასალების შენახვას, ძებნას, გაცემას და „ხელუხლებელ“ არქივებში დაცვას. ამისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს სხვადასხვა სახის „კომპიუტერული საცავები“, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სერვერები.

**ძებნისა და გაცემის ქვესისტემა** წარმოადგენს უშუალოდ მომხმარებლის ინტერფეისს, რომლის გამოყენებითაც მომხმარებელი ეძებს, ათვალიერებს და იღებს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში შეტანილ მასალას.

**ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებ-საიტი** წარუდგენს მომხმარებელს ინტერნეტში ელექტრონულ ბიბლიოთეკას და წარმოაჩენს ელექტრონული ბიბლიოთეკის მომსახურების შესაძლებლობებს.

**ქსელური მომსახურება** განსაზღვრავს ელექტრონული ბიბლიოთეკის სხვადასხვა ნაწილების გამოყენებას ან ადგილზე, ორგანიზაციის კომპიუტერულ ქსელში ინტრანეტით ან მსოფლიო ქსელში - ინტერნეტით.

**ელექტრონული ბიბლიოთეკის მართვის ქვესისტემა** შეიცავს გამოყენების სტატისტიკის ანალიზს, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, ქსელურ უსაფრთხოებას, ფასიანი მომსახურების ასპექტებს და ა.შ.

### **ელექტრონული დოკუმენტების კატალოგიზაცია**

კონგრესის ბიბლიოთეკისთვის დაწერილ კოლექტიურ ნაშრომში [8] „გაციფრების სტრატეგია კონგრესის ბიბლიოთეკაში“ დამტკიცებულია, რომ ნებისმიერი გამოცემის ან საინფორმაციო მასალის (ბეჭდური იქნება იგი თუ ელექტრონული) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტური საშუალებაა მისი კატალოგიზაცია. ეს ძალიან ძვირადღირებული პროცესია - ერთი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენა MARC ფორმატში კონგრესის ბიბლიოთეკას უჯდება 50-დან 110 დოლარამდე. ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტები (ISBD) სწორედ იმიტომ იქნა შემოღებული, რომ სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებს შესძლებოდათ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გაცვლა საკატალოგო ბარათებით და ამ გზით გაიაფებულიყო კატალოგიზაცია. ამ სტანდარტებში მიღებული ბიბლიოგრაფიული მონაცემების (ანუ მეტამონაცემების) განლაგება და სასვენო ნიშნები გასაგებს ხდიდა ნებისმიერი ქვეყნის ბიბლიოთეკარისთვის სხვადასხვა ენაზე შედგენილ საკატალოგო ბარათს. კომპიუტერულ კატალოგიზაციაზე გადასვლის შემდეგ MARC ფორმატი გახდა არა მხოლოდ მეტამონაცემების გაცვლის ფორმატი, არამედ MARC ფორმატის ველებმა, ქვევლებმა და ჭდეებმა შეცვალეს ISBD-ს მეტამონაცემების განლაგებისა და სასვენო ნიშნების ენა.

საკატალოგო ბარათი ელექტრონული კატალოგიდან ავტომატურად იბეჭდება. ამჟამად MARC ფორმატის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გაცვლა ხდება ელექტრონული კატალოგიდან ელექტრონულ კატალოგში Z39.50 სტანდარტის გამოყენებით. კატალოგიზაციის გაიაფების მიზნით შექმნილია კორპორაციული კატალოგიზაციის ცენტრები, როგორცაა, მაგალითად OCLC.MARC ფორმატი ძალიან დიდი (400-ზე მეტი ველი და ქვეველი) და შრომატევადი სტანდარტია, ხოლო ელექტრონული გამოცემების რაოდენობა ინტერნეტში გაცილებით მეტი სისწრაფით იზრდება ვიდრე ბეჭდურის. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს სწრაფვას ვებ-დოკუმენტების კატალოგიზაციის გაიაფებისკენ. ამ მიზნით OCLC-ში 1994 წელს შეიქმნა ვებ-დოკუმენტების კატალოგიზაციის მარტივი სტანდარტი დაბლინ კორი (Dublin Core), რომელშიც გათვალისწინებულია ვებ-დოკუმენტების არამდგრადი ხასიათი და სადაც თავდაპირველად სულ 15 ელემენტი იყო (მოგვიანებით მათ დაემატათ კვალიფიკატორები და სხვა ელემენტები). მაგრამ დარჩა ორი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეადგენს კატალოგიზაციის ყველაზე ინტელექტუალურ ნაწილს: 1. ვებ-დოკუმენტისთვის შესაბამისი საკლასიფიკაციო ინდექსისა და საგნობრივი რუბრიკის მიწერა; 2. საკუთარი სახელების სისწორის კონტროლი და სხვადასხვა სახით ჩაწერილი სახელების ნორმატიული სახელით შეცვლა ავტორიტეტული ფაილების გამოყენებით. ამ ამოცანის გაიაფება შესაძლებელია ორი გზით: 1. კორპორაციული კატალოგიზაციით (OCLC-ის პროექტი - CORC) ან 2. კატალოგიზაციით პუბლიკაციაში ვებ-დოკუმენტის შემქმნელის მიერ (რომელიც საკუთარ სახელებსაც სწორად დაწერს, თუ იქნა შესაბამისი ავტორიტეტული ფაილი, და საკლასიფიკაციო ინდექსსა და საგნობრივ რუბრიკასაც კარგად მიუწერს, თუ მისთვის ხელმისაწვდომი იქნა საკლასიფიკაციო სისტემა და საგნობრივი რუბრიკატორი). მეორე გზა მიღებულია ელექტრონული ბიბლიოთეკების თანამედროვე პროგრამულ პროდუქტებში, მათ შორის გრინსტოუნში. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული დოკუმენტების კატალოგიზაცია დღეისათვის, უმეტესწილად, მიმდინარეობს დაბლინ კორის სტანდარტით, უკვე დაწყებულია მუშაობა ახალ სტანდარტზე სახელწოდებით „Resource Description and Access“, რომელმაც ერთდროულად უნდა შეცვალოს დაბლინ კორიც და, მთელ მსოფლიოში გავრცელებული, ბეჭდური გამოცემების ანგლო-ამერიკული საკატალოგიზაციო წესები [9]. ამჟამად კი ელექტრონული ბიბლიოთეკების ყველა ცნობილი პროგრამული უზრუნველყოფა იყენებს დაბლინ კორს ან მის ვარიანტებს.

### ელექტრონული ბიბლიოთეკები ეროვნულ ბიბლიოთეკაში

წინამდებარე ნაშრომის დაწერის დროისთვის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამი ელექტრონული ბიბლიოთეკა არსებობს, ამავე დროს, მიმდინარეობს მათი რეკონსტრუქცია, რომელიც 2006 წლის ბოლოს დასრულდება. ჩვენ მოკლედ აღვწერთ ამ სამ ელექტრონულ ბიბლიოთეკას ისე, რა სახითაც არსებობდნენ ისინი 2006 წლის ივლისისთვის და ვინც მომავალ წელს მაინც მოისურვებს მათ ხილვას ამ სახით, შეუძლია მიმართოს ინტერნეტ-არქივს: <http://www.archive.org/index.php>

სამწუხაროდ, ამ არქივში საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ინტერნეტი სრულად არ არის წარმოდგენილი, ამიტომ თითქმის ყველა ქვეყნის

ეროვნული ბიბლიოთეკა თავად ქმნის ეროვნული ინტერნეტის ელექტრონულ არქივს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე ელექტრონული რესურსების განყოფილებაში არსებობს რუბრიკა „ელექტრონული ბიბლიოთეკა“, რომელშიც მოცემულია შემდეგი ბმულები:

- ელექტრონული ბიბლიოთეკა
  - [ციფრული ბიბლიოთეკა](#)
  - [ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგია](#)
  - [სამოქალაქო განათლება](#)
  - [კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია](#)

კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საიტი შექმნილია ძირითადად ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ ისევე, როგორც ქართული ინტერნეტის ვებ-ცნობარი და სამიუნიკალიტეტო სისტემა <http://www.geres.ge/>.

„ციფრულ ბიბლიოთეკაში“ არსებობს ბმული „ელექტრონული ბიბლიოთეკა 2006“, რომელსაც მივეყვართ საგნობრივ რუბრიკატორამდე. ეს არის სწორედ ციფრული ბიბლიოთეკა საგნობრივი სამიუნიკალიტეტით, რომელშიც ჩართულია ძირითადად ქართველი ავტორების 100-მდე ნაწარმოები ქართულ ენაზე და ზოგი მათგანის თარგმანები რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამ ციფრული ბიბლიოთეკის საერთო მოცულობაა 452 Mb.

მეორე ელექტრონული ბიბლიოთეკა „ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგია“ წარმოადგენს გრინსტოუნის ციფრული ბიბლიოთეკის პროგრამულ უზრუნველყოფაში შექმნილ ქართველი 93 მწერლის რჩეული 2500 ნაწარმოების სრულტექსტოვან ელექტრონულ ბიბლიოთეკას. იქვე არის შეტანილი ავტორების ბიოგრაფიები და სურათები. გრინსტოუნის ციფრული ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფა აკმაყოფილებს ელექტრონული ბიბლიოთეკების თითქმის ყველა საერთაშორისო სტანდარტს და რეკომდებულია იუნესკოს მიერ. მისი ინტერფეისი გაქართულებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. „ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგიის“ ელექტრონულ ბიბლიოთეკას აქვს ავტორების, სათაურების და საუკუნეების სამიუნიკალიტეტო. გარდა ამისა, მასში ძებნა შესაძლებელია სიტყვებით და ფრაზებით, რომლებიც ძებნის შედეგებში მონიშნულია. მეორე ელექტრონული ბიბლიოთეკის საერთო მოცულობაა 1886 Mb.

მესამე ელექტრონული ბიბლიოთეკა „სამოქალაქო განათლება“ შექმნილია MS ACCESS-ის გამოყენებით. მასში შესულია სამოქალაქო განათლების დარგში 247 ავტორის 388 წიგნის გარეკანის გამოსახულება და ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, ხოლო ზოგი ნაწარმოები ავტორებმა თვითონ შემოიტანეს ციფრულ ფორმატში. ამ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განთავსებულია აგრეთვე ადამიანის უფლებების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. გარდა ამისა, იქ შესულია 83 სტატია სხვადასხვა გაზეთებიდან ვარდების რევოლუციის შესახებ. მესამე ელექტრონული ბიბლიოთეკის საერთო მოცულობაა 13 Mb.

ელექტრონული ბიბლიოთეკებისთვის შექმნილია მართვის სისტემები, მაგალითად, MIT-ის DSpace, OCLC-ის CONTENTdm და ExLibris-ის Digitool, რომლებიც ეფუძნებიან კონტენტ მენეჯმენტ სისტემების იდეოლოგიას. მსგავსი სისტემები უკვე ფართოდ გამოიყენება ელექტრონული ბიბლიოთეკების აგებისას. ამიტომ მომავალში ჩვენც მოგვიწევს ანალოგიური სისტემის შესწავლა და დანერგვა.

ელექტრონული ბიბლიოთეკების განვითარება კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის თვასაზრისით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამოკიდებულია ძვირადღირებული უკონტაქტო სკანერისა და სპეციალური სერვერების შეძენაზე, რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ელექტრონული არქივები და ციფრული ბიბლიოთეკები კულტურული მემკვიდრეობის ისეთი მასალებისთვის, როგორცაა ძველი გაზეთები და ჟურნალები, ძველი და იშვიათი წიგნები, მასალები საქართველოს კულტურის ძეგლების შესახებ, პლაკატები და ფოტოსურათები, რუკები და ა.შ.

თანამედროვე გამოცემების ელექტრონული არქივებისა და ციფრული ბიბლიოთეკების განვითარება კი დამოკიდებულია საკანონმდებლო ბაზაზე, კერძოდ, სავალდებულო ეგზემპლარის ახალი კანონის მიღებაზე და თანამშრომლობაზე გამომცემლობებთან და ავტორებთან ურთიერთდანიტერესების საფუძველზე. ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციის „ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის“ 2005-2008 წლების სტრატეგიული გეგმის მე-5 მიზანს წარმოადგენს სწორედ გამომცემლებთან თანამშრომლობის დამყარება [10]. ამასთანავე, დეპოზიტური დაცვის მიზნით, 2005 წელს მიღებულია დოკუმენტი ელექტრონული გამოცემების ნებაყოფლობით გადაცემის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკებისთვის, ან ეროვნული მემკვიდრეობის დამცველი სხვა ორგანიზაციებისთვის [11].

## ლიტერატურა

1. UNESCO Charter on the Preservation of the Digital Heritage // [http://portal.unesco.org/ci/en/ev.php-URL\\_ID=13366&URL\\_DO=DO\\_TOPIC&URL\\_SECTION=201.html](http://portal.unesco.org/ci/en/ev.php-URL_ID=13366&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html)
2. Billington, James H. Proposal for a World Digital Library // [http://www.loc.gov/about/welcome/speeches/wdl/wdl\\_6-6-05.html#skip\\_menu](http://www.loc.gov/about/welcome/speeches/wdl/wdl_6-6-05.html#skip_menu)
3. Information Management Resource Kit. // [http://www.imarkgroup.org/index\\_en.asp](http://www.imarkgroup.org/index_en.asp)
4. The response of the British Library to the i2010: Digital Libraries online consultation on digitisation and digital preservation. // [http://europa.eu.int/information\\_society/activities/digital\\_libraries/consultation/replies/consult\\_results/britis%20library\\_st\\_pancras\\_a302387.pdf](http://europa.eu.int/information_society/activities/digital_libraries/consultation/replies/consult_results/britis%20library_st_pancras_a302387.pdf).
5. Moving Theory into Practice: Digital Imaging Tutorial // <http://www.library.cornell.edu/preservation/tutorial/contents.html>.
6. Digital Preservation Management Tutorial // [http://www.library.cornell.edu/iris/tutorial/dpm/eng\\_index.html](http://www.library.cornell.edu/iris/tutorial/dpm/eng_index.html); <http://www.library.cornell.edu/iris/tutorial/dpm/tutorialprint.pdf>.
7. Cornell University Library Workshop: Digital preservation management // <http://www.library.cornell.edu/iris/dpworkshop/>.
8. LC21: A Digital Strategy For the Library of Congress / Committee on an Information Technology Strategy for the Library of Congress, Computer Science and Telecommunications Board, National Research Council. – 2000. – 288 p.
9. Danskin, Alan. „Tomorrow never knows“: the end of cataloguing?“. – IFLA 2006 // <http://www.ifla.org/IV/ifla72/papers/102-Danskin-en.pdf>

10. Conference of European National Librarians (CENL) Strategic Plan 2005-2008 .// [http://www.nlib.ee/cenl/docs/CENL\\_StrategicPlan\\_2005\\_08.pdf](http://www.nlib.ee/cenl/docs/CENL_StrategicPlan_2005_08.pdf).

11. Conference of European National Librarians/Federation of European Publishers (CENL/FEP) „Statement on the Development and Establishment of Voluntary Deposit Schemes for Electronic Publications“ // [http://www.nlib.ee/cenl/docs/05-11CENLFEP\\_Draft\\_Statement050822\\_02.pdf](http://www.nlib.ee/cenl/docs/05-11CENLFEP_Draft_Statement050822_02.pdf).

7. ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის ფონდის მე-20 საიუბილეო ყრილობა: სანკტ-პეტერბურგი 2006

**თეიმურაზ ჩხენკელი**  
**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორი**

2006 წლის 27-29 სექტემბერს რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის (Conference of European National Librarians - CENL-ის ) ფონდის მე-20 საიუბილეო ყრილობა, რომელზეც მოსმენილ იქნა ამ ორგანიზაციის 2005-2008 წწ. სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობა და რამდენიმე მოწვეული სპეციალისტის მოხსენება.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ბ-ნი ზაზა აბაშიძე, შვეიცარიის განვითარების ფონდის დახმარებით, გახდა CENL-ის (<http://www.cenl.org/>) წევრი, ისევე როგორც სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული ბიბლიოთეკების გენერალური დირექტორები.

ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის - CENL-ის მისია გახლავთ:

7. ნებისმიერი ადამიანის უზრუნველყოფა სწრაფი, ამომწურავი, მრავალენოვანი და გრძელვადიანი წვდომით ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების ფონდებთან და ინფორმაციასთან და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფასოდ;
8. ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის აგება;
9. ევროპული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და ცოდნის დაცვა;
10. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება ეროვნული ბიბლიოთეკების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;
11. ევროპული კულტურის ძირითადი ღირებულების - კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნების ხელშეწყობა;
12. კოოპერაცია კულტურული მემკვიდრეობის სხვა ინსტიტუტებთან როგორც ევროპაში, ასევე დანარჩენ მსოფლიოში.

## CENL-ის 2005-2008 წლების სტრატეგიული გეგმა

### მიზანი 1

გაციფრებისადმი კოოპერაციული და ფართო მიდგომის აქტიური ხელშეწყობა ევროპის ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და ევროპული ბიბლიოთეკების შესაბამის ეროვნულ ქსელებში.

### მოქმედებები

- 1.1 CENL-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა განიხილოს „ევროპული ბიბლიოთეკის» საორგანიზაციო მოდელის საუკეთესო გამოყენების შესაძლებლობა, რათა წინ წამოიწიოს გაციფრებისა და ციფრული ბიბლიოთეკების მიმართ საერთო ძალისხმევა ეროვნული სტრატეგიების განვითარებასა და კოორდინაციაში, მათ შორის ისეთ საკითხებში, როგორცაა: ტექნოლოგიები, შიგთავსის შერჩევა და დაფინანსება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება შიგთავსის შერჩევაზე.
- 1.2 CENL-მა ხელი უნდა შეუწყოს დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფს ცოდნის გაზიარებასა და ევროპის გაციფრებული შემცველობის კრიტიკული მასის გაზრდის შესაძლებლობების განსაზღვრაში. არსებული ციფრული კოლექციების (გაზეთების, ღირშესანიშნავი მოვლენების და ა.შ.) აღრიცხვა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ კოოპერაციის ათვლის წერტილად და მომავალი კოორდინაციის გეგმის მოდელად.
- 1.3 წარადგინოს ევროკომისიაში „ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის» შექმნის საპროექტო წინადადება, რომელშიც „ევროპული ბიბლიოთეკა» გამოყენებული იქნება როგორც პლატფორმა და არსებული ქსელი: „ევროპული ციფრული ბიბლიოთეკა» ევროკომისიის “eContent plus” პროგრამის ფარგლებში.
- 1.4 მონაწილეობა მიიღოს ევროკომისიის მიერ წამოწყებულ ონლაინ კონსულტაციებში თემაზე: „i2010 ციფრული ბიბლიოთეკები».

### მიზანი 2

“ევროპული ბიბლიოთეკის”, როგორც ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების კოოპერაციის სამოდელო პლატფორმის და ორგანიზაციული ქსელის, მათ ციფრულ მასალებთან, კოლექციებთან, კატალოგებსა და მომსახურებასთან წვდომის იდეალური წერტილის წინ წამოწევა.

### მოქმედებები

- 2.4 CENL-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა განიხილოს ყველა შესაძლებლობა, რათა ხელი შეუწყოს და დააჩქაროს CENL-ის წევრი ბიბლიოთეკების სრულ გაწევრიანებას „ევროპულ ბიბლიოთეკაში» და ამით უზრუნველყოს საქმისა და მოვალეობების სრული განაწილება ევროპაში.
- 2.5 წარადგინოს საპროექტო წინადადება ევროკავშირის წევრი ქვეყნების დარჩენილი ეროვნული ბიბლიოთეკების ინტეგრაციისა და „ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის» შექმნის შესახებ.
- 2.6 განავრცოს „ევროპული ბიბლიოთეკა» „ევროპულ ციფრულ ბიბლიოთეკამდე».

### **მიზანი 3**

ევროპაში ეროვნული ბიბლიოთეკების როლის წინ წამოწევა და მათი პასუხისმგებლობის ამაღლება ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და ამ სფეროში ცოდნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

#### **მოქმედებები**

- 3.1 მოიწვიოს ყოველწლიურ კონფერენციებზე ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და იუნესკოს წარმომადგენლები.
- 3.2 აქტიურად შეასრულოს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის თანამონაწილისა და შუამავლის ფუნქცია ევროპის საბჭოსთან.
- 3.3 დაამყაროს უფრო მჭიდრო კოოპერაციული ურთიერთობები არქივების საერთაშორისო საბჭოსთან (ICA) და მის ევროპულ ორგანიზაციასთან (EURICA).
- 3.4 განიხილოს EBLIDA-ში (საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ასოციაციების ევროპული ბიურო) კოლექტიური გაწევრიანების საკითხი და გამართოს მოლაპარაკებები ამ ორგანიზაციასთან გაწევრიანების თაობაზე.
- 3.5 განიხილოს და შეისწავლოს გაციფრების და ციფრული შენახვისა და დაცვის სფეროში ECPA-თან, ICA-თან და ICOM-თან თანამშრომლობის საკითხები.
- 3.6 დაამყაროს თანამშრომლობა CERL-თან (ევროპის სამეცნიერო ბიბლიოთეკების კონსორციუმთან) და მსგავს ორგანიზაციებთან და პროექტებთან ავტორიტეტული ფაილებისა და მეტამონაცემების ხარისხის თაობაზე.
- 3.7 დაამყაროს ურთიერთობა და კოორდინაცია ყველა შესაბამის საკითხში IFLA-სთან, CDNL - თან და CENL-ის გარეთ არსებულ ეროვნულ ბიბლიოთეკებთან.
- 3.8 ყოველ საჭირო შემთხვევაში დაამყაროს ურთიერთობა პრესასთან CENL-ის სახელით (მაგ., გამოაქვეყნოს პრესაში პრეს-რელიზი ყოველწლიური კონფერენციის შემდეგ).

### **მიზანი 4**

კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნობის, როგორც ევროპული კულტურის ძირითადი ღირებულებისა და ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების მიერ მომხმარებელთა მომსახურების უმნიშვნელოვანესი თვისების, მხარდაჭერა.

#### **მოქმედებები**

- 4.4 მონაწილეობა მიიღოს ინფორმაციის მრავალენოვანი ძეგლის განვითარების პროექტებში, როგორცაა MACS და MSAC.
- 4.5 მხარი დაუჭიროს მრავალენოვან საქმიანობასა და სამუშაოებს „ევროპის ბიბლიოთეკაში“.
- 4.6 გაითვალისწინოს და განიხილოს მრავალენოვნობის პრობლემის საკითხები ახალი პროექტების შემუშავებისას.

### **მიზანი 5**

გამომცემლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

## **მოქმედებები**

- 5.1 FEP/CENL -ის სამუშაო ჯგუფმა გააგრძელოს აზრთა გაზიარება და პრაქტიკული წინადადებების წამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნულ ბიბლიოთეკებს გამომცემლებთან ინდივიდუალურ მუშაობაში და მთავრობებთან კონტაქტებში, რათა მათი მხარდაჭერით შემუშავდეს გამომცემლებთან შესაბამისი ხელშეკრულებები.
- 5.2 გააგრძელოს თანამშრომლობა საერთაშორისო DOI ფონდთან (იხ. აგრეთვე 7.4).
- 5.3 შეიმუშაოს გამომცემლებთან ერთად კერძო და სახელმწიფო სექტორების პარტნიორობის პროექტი, რომელიც დაფინანსებული იქნება ევროკავშირის მიერ.

## **მიზანი 6**

კერძო სექტორთან თანამშრომლობის ახალი მოდელების ხელშეწყობა.

## **მოქმედებები**

- 6.1 CENL-მა უნდა განსაზღვროს, როგორც სასწრაფო და გადაუდებელი საქმე, კერძო სექტორთან მოლაპარაკებათა საერთო, ეროვნული ბიბლიოთეკების მხარდამჭერი, პირობები და უზრუნველყოს ეროვნული ბიბლიოთეკების ფონდების, როგორც სახელმწიფო ეროვნული ქონების, მუდმივი დაცვა, როდესაც ეროვნული ბიბლიოთეკები შედიან კერძო სექტორთან პარტნიორულ ურთიერთობებში.
- 6.2 შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კერძო სექტორთან მოლაპარაკებების საეთო გზებსა და ეროვნულ ბიბლიოთეკათა მხარდამჭერ პირობებს.
- 6.3 განიხილოს ელექტრონული გამოცემების ერთი სავალდებულო ეგზემპლარის ან რამდენიმე სავალდებულო ეგზემპლარის სტრატეგიები ევროპის დეპოზიტური სავალდებულო ეგზემპლარების საცავებში.

## **მიზანი 7**

ეროვნული ბიბლიოთეკების, როგორც ეროვნული საბიბლიოთეკო ფონდების და კულტურული მემკვიდრეობის განმკარგველის და დამცველის, როლის წინ წამოწევა ციფრული მასალების გრძელვადიანი დაცვისა და მათთან ხელმისაწვდომობის ყველა ასპექტის მხარდაჭერით.

## **მოქმედებები**

- 7.1 მუდმივი იდენტიფიკატორების სამუშაო ჯგუფმა უნდა ჩამოაყალიბოს CENL-ის პოზიცია მუდმივი იდენტიფიკატორების მიმართ და უნდა მიისწრაფოდეს ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების მუდმივი იდენტიფიკატორების სტრუქტურის შექმნისაკენ იმ მიზნით, რომ მიაღწიოს გარჩევის სამსახურის ევროპული ქსელის ჩამოყალიბებას.
- 7.2 მუდმივი იდენტიფიკატორების სამუშაო ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს გარჩევის ბოლო ინსტანციის სისტემის შექმნას.



- 7.3 განიხილოს, თუ როგორ ითანამშრომლოს დაცვისა და წვდომის ევროპულ კომისიასთან (ECPA – European Commission on Preservation and Access), არქივების საერთაშორისო საბჭოსთან (ICA – International Council on Archives) და მუზეუმების საერთაშორისო საბჭოსთან (ICOM – International Council of Museums) გაციფრებისა და ციფრული დაცვის სფეროში (იხ. აგრეთვე 3.5).
- 7.4 გააგრძელოს წევრობა საერთაშორისო DOI ფონდთან (იხ. აგრეთვე 5.2).
- 7.5 წარმოადგინოს ციფრული მემკვიდრეობის გრძელვადიანი დაცვის პროექტის წინადადებები.
- 7.6 მხარი დაუჭიროს მოქმედებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია მუდმივი წვდომის სპეციალური კომისიის 2006-2010 წლების სტრატეგიული მოქმედების გეგმაში (Strategic Action Plan 2006-2010 of the Task Force Permanent Access).

## **მიზანი 8**

საინფორმაციო საზოგადოების ნებისმიერი მომდევნო ინიციატივის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის როლის შესრულება.

### **მოქმედებები**

- 8.1 მონაწილეობა მიიღოს ევროკომისიის ონლაინ კონსულტაციებში ციფრული ბიბლიოთეკების შესახებ.
- 8.2 იყოს ევროკომისიის კონსულტანტი და პარტნიორი ბიბლიოთეკებთან მიმართებაში.
- 8.3 მიაწოდოს ევროკომისიას საპროექტო წინადადება „ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის» (EDL – European Digital Library) შექმნის დაწყების მიზნით.
- 8.4 მონაწილეობა მიიღოს საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტში.

## **მიზანი 9**

ეროვნული ბიბლიოთეკების მომსახურება ონლაინ ფორუმით გამოცდილების გაზიარების და გაცნობის, საუკეთესო პრაქტიკის და მაღალი ხარისხის მოდელების წახალისებისა და გავრცელების და მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით.

### **მოქმედებები**

- 9.1 გააქტიუროს საბიბლიოთეკო პროცესების შესრულების შეფასების სამუშაო ჯგუფი.
- 9.2 სამუშაო ჯგუფმა განსაზღვროს საბიბლიოთეკო პროცესების შესრულების ინდიკატორები, შეაგროვოს CENL-ის წევრების ანგარიშები და 2006 წლის ყოველწლიურ კონფერენციაზე წარმოადგინოს მიმოხილვა.
- 9.3 მოამზადოს CENL-ის წევრების მიერ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმოხილვა და ამ მიზნით შეადგინოს TEL-ME-MOR-ის კითხვარი.

## **მიზანი 10**

CENL-ის წევრებს შორის კოოპერაციისა და მათ მიერ სტანდარტების გამოყენების მხარდაჭერა.

## მოქმედებები

10.1 აქტიურად განაახლოს CENL-ის ვებ-საიტი.

10.2 მხარი დაუჭიროს CENL-ის სადისკუსიო ჯგუფის გამოყენებას, სადაც ეს საჭიროა.

მიღებულია CENL-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2005 წლის 5 დეკემბერს.

მიღებულია CENL-ის მმართველი საბჭოს მიერ 2006 წლის იანვარში.

## სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (R&D)

### ევროპის ეროვნულ ბიბლიოთეკებში

პროექტ TEL-ME-MOR- ის ანგარიში (The European Library: Modular Extensions for Mediating Online Resources - ევროპული ბიბლიოთეკა: მოდულური გაფართოებები ონლაინ რესურსების შუამდგომლობისთვის)

R&D (Research and Development) - სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის დაწესებულების პოტენციალის განხილვისას, მისი შესაძლებლობის შეფასებისას შექმნას ინოვაციური კულტურული მემკვიდრეობა ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით და გახდეს კონკურენტუნარიანი ევროპის არენაზე - ეს არის ერთ-ერთი დებულება გამოთქმული TEL-ME-MOR-ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ([http://telmemor.net/docs/D1.3\\_research\\_activities\\_report.pdf](http://telmemor.net/docs/D1.3_research_activities_report.pdf)).

ხსენებული ანგარიში შედგენილია ევროკავშირში შემავალი ყველა ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობის ანკეტირებისა და ანალიზის საფუძველზე და წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანებული ათი ახალი ქვეყნის ეროვნულ ბიბლიოთეკაში თავდაპირველად ჩატარებული გამოკვლევის გაგრძელებას. მასში გამოკვლეულია ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის (Conference of European National Librarians – CENL <http://www.cenl.org/>) წევრ ბიბლიოთეკებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების არსებული მდგომარეობა (*სანამ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა გახდებოდა მისი წევრი-მთარგმნელის შენიშვნა*).

ანგარიშში მოცემულ რეკომენდაციებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- ბიბლიოთეკები და მეხსიერების სხვა ინსტიტუტები უნდა აღიარებულ იქნან, როგორც სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შემსრულებლები ევროპულ დონეზე.
- უნდა დადგინდეს და გავრცელდეს ევროგაერთიანების ყველა წევრ ქვეყანაში ეროვნული ბიბლიოთეკების (და მეხსიერების სხვა ინსტიტუტების) სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობისა და სხვა მიღწევების ხარისხის მონიტორინგის გამჭვირვალე და სრული მეთოდოლოგია.

- სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო კომპეტენტური ორგანიზაციების არსებულმა ქსელმა უნდა განიხილოს და გამოიყენოს ევროკავშირის ახლადგაწვერიანებული ქვეყნების ეროვნული ბიბლიოთეკების ცოდნა და გამოცდილება.
- აუცილებელია, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკებში განვითარდეს მომხმარებლებთან თანამშრომლობის კულტურა; საჭიროა მომხმარებლის აქტიური მონაწილეობის წახალისება ციფრული ბიბლიოთეკებით მომსახურების განვითარების ყველა ეტაპზე.
- მომხმარებელზე კონცენტრირებული გადაწყვეტილებები უნდა გახდეს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შეფასებისა და დაფინანსების ძირითადი კრიტერიუმი.
- სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, საქმიანმა წრეებმა და ბიბლიოთეკებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეავსონ ევროპაში ეროვნული გაციფრებული კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკული მასის დანაკლისი.

ეს ანგარიში სახელწოდებით „ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების კვლევითი საქმიანობა კულტურული მემკვიდრეობისა და ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში» გამოქვეყნებულია TEL-ME-MOR-ის საიტზე: <http://telmemor.net/results.php>

TEL-ME-MOR-ს შეაქვს თავისი წვლილი “ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის” მიზნის მიღწევაში, ასევე ხელს უწყობს ევროკავშირის ათი ახლად გაწვერიანებული ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკის (რომლებიც აგრეთვე არიან TEL-ME-MOR-ის პროექტის პარტნიორები) “ევროპულ ბიბლიოთეკაში” (The European Library - <http://www.theeuropeanlibrary.org/portal/index.html>) სრულ გაწვერიანებას. ევროპული ბიბლიოთეკის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციას (CENL-ს), რომლის ეგიდით დაარსებული „ევროპული ბიბლიოთეკა» უზრუნველყოფს ევროპის მთავარი ეროვნული ბიბლიოთეკების ელექტრონულ და სხვა საბიბლიოთეკო რესურსებთან უნიფიცირებულ წვდომას. TEL-ME-MOR-ის პროექტის მიზანი აგრეთვე არის ევროკავშირის ათი ახლად გაწვერიანებული ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

ანგარიშის მეთოდოლოგიისა და სხვა ინფორმაციისთვის მიმართეთ ანგარიშის ავტორებს: Zinaida Manžuch [zinaida.manzuch@mb.vu.lt](mailto:zinaida.manzuch@mb.vu.lt) an Adolf Knoll [adolf.knoll@nkp.cz](mailto:adolf.knoll@nkp.cz)

ინფორმაციისთვის TEL-ME-MOR-ის პროექტის შესახებ მიმართეთ Toomas Schvak-s ([toomas.schvak@nlib.ee](mailto:toomas.schvak@nlib.ee)), ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ცენტრის პროექტის ხელმძღვანელს

#### გაციფრების ტემპები ევროპის ეროვნულ ბიბლიოთეკებში

#### THE EUROPEAN LIBRARY: MODULAR EXTENSIONS FOR MEDIATING ONLINE RESOURCES

Research Activities of the European National Libraries in the Domain of Cultural heritage and ICT. April 2006. Zinaida Manžuch & Adolf Knoll

**ANNEX F. NUMBER OF PAGES (INDIVIDUAL FILES) IN THOUSANDS OF UNITS  
DIGITIZED IN NLS BY FEBRUARY 2006**

Spain 40609  
France 24106  
United Kingdom 3223  
Austria 3190  
Czech Republic 2671  
Russia - Moscow 1665  
Iceland 1413  
Finland 949  
Norway 842  
Italy - Florence 573  
Denmark 564  
Serbia 481  
Netherlands 416  
Portugal 391  
Latvia 351  
Poland 279  
Russia - St. Petersburg 258  
Estonia 220  
Germany 219  
Hungary 170  
Switzerland 162  
Sweden 38  
Slovenia 28  
Slovakia 26  
Bosnia and Herzegovina 25

***Only the NLS with more than 25,000 pages are mentioned here.***

ამ მონაცემების გარდა ყრილობის მონაწილეთა გამოსვლებიდან გამოვლინდა შემდეგი სურათი: ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკა Microsoft-ის დახმარებით ერთ წელიწადში გააციფრებს 100,000 წიგნს; საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ერთ წელიწადში IBM-ის დახმარებით გააციფრებს 200,000 წიგნს; ჰოლანდიის ეროვნულ ბიბლიოთეკას გააციფრებული აქვს წინა ოთხი საუკუნის გაზეთების 4 მლნ. გვერდი. ევროპაში გაციფრებული მასალის მხოლოდ 25%-ია ტექსტურ ფორმატში. შედარებისთვის, ჩვენ ბიბლიოთეკაში დღეისათვის გაციფრებულია 40,000 გვერდი და ყველა ტექსტურ ფორმატშია ხელმისაწვდომი.

ევროპულ ეროვნულ ბიბლიოთეკებს შემოაქვთ ეროვნული ბიბლიოთეკების მუშაობის შეფასების ისეთი ახალი ინდიკატორები როგორცაა:

გაციფრებული შენახვის ერთეულების დასახელებების რაოდენობა და მისი პროცენტული სიდიდე მთელ ფონდში არსებული დასახელებებთან მიმართებაში საანგარიშო წელს,

ბიბლიოთეკის საიტიდან ჩამოტვირთული გაციფრებული მასალის რაოდენობა საანგარიშო წელს,

ციფრული დაცვისთვის გადაცემული გაციფრებული მასალის რაოდენობა საანგარიშო წელს,

ელექტრონული მომსახურების პროცენტული რაოდენობა ბიბლიოთეკაში და სხვ.

ყველა ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკა ვალდებულია შეიტანოს ცვლილებები **სავალდებულო ეგზემპლარის კანონში**, სადაც გათვალისწინებული იქნება ელექტრონული, არა ფიზიკური (ანუ ონლაინ) დოკუმენტები. ასეთი კანონი შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ საავტორო უფლებების დარღვევა საქართველოში გამოქვეყნებული **ონლაინ დოკუმენტების შეგროვებისა და დაცვისას**. გერმანიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ჩაატარა ამ საკითხის გამოკვლევა ევროპულ ეროვნულ ბიბლიოთეკებში, საიდანაც ჩანს რომ ეროვნული ბიბლიოთეკების უმეტესობა ჯერ კიდევ მუშაობს სავალდებულო ეგზემპლარის ახალი კანონის მიღებაზე. ევროპის ეროვნულმა ბიბლიოთეკებმა უკვე დაიწყეს ეროვნული ონლაინ დოკუმენტების, ვებ-საიტებისა და ვებ-გვერდების შერჩევა, შეგროვება და დაცვა. ამ მხრივ პიონერი გახლავთ შვედეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც წელიწადში ორჯერ, შერჩევის გარეშე, მთელ შვედურ ინტერნეტს აგროვებს და იცავს. დანიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ რამდენიმე თვეში შეაგროვა 5,3 ტერაბაიტი მოცულობის დანიური ონლაინ დოკუმენტები, საფრანგეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ერთ წელიწადში შეაგროვა ფრანგული ინტერნეტის 3 ტერაბაიტი. ასევე დიდი მიღწევები აქვთ ამ მიმართულებით ავსტრიისა და ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკებს. ისინი ქმნიან ინტერნეტში ეროვნულ დაცულ ადგილებს (Safe Places) და ელექტრონულ დეპოზიტარიუმებს (e-Depot). ჰოლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკა წავიდა უფრო შორის და მის ელექტრონულ საცავში დაცულია საერთაშორისო სამეცნიერო 2800 ონლაინ ჟურნალში გამოქვეყნებული 9 მილიონი სტატია. ელექტრონული გამოცემების მოცულობა სწრაფი ტემპებით იზრდება და ეროვნულ ბიბლიოთეკებს დააწვა მათი აღწერის, დაცვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრობლემები. ეს მონაცემები აღებულია ჰოლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული დაცვის წამყვანი სპეციალისტის - ბარბარა სირმენის (Barbara Sierman) მოხსენებიდან. ევროპაში მთელი გაციფრებული და ციფრულად შობილი მასალა უნდა იყოს საიმედოდ დაცული და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ახლაც და მომავალშიც.

ციფრული მასალის დაცვა და ხელმისაწვდომობა მომავალში წარმოადგენს პრობლემას ყოველი ადამიანისთვის, რომელიც დიდ ხნის განმავლობაში იყენებს კომპიუტერს: 10 წლის წინ შენახული ფაილები დღეს შეიძლება ვეღარ წაიკითხოთ - იცვლება ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ფორმატები და სხვ.

აზრი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ციფრული არქივი, სულ რამდენიმე წელია რაც ჩამოაყალიბეს დასავლეთ ევროპის ეროვნულმა ბიბლიოთეკებმა, ხოლო ჰოლანდია, გერმანია და ესტონეთი იყენებენ ციფრული არქივისთვის “ციფრული ობიექტების მართვის სისტემებს”. ციფრული საცავებისთვის უკვე არსებობს და ვითარდება საერთაშორისო სტანდარტები. ამ სტანდარტებზე დაყრდნობით ყალიბდება მოთხოვნები ციფრული ობიექტების მართვის სისტემებისა და ციფრული საცავების სრტიფიკაციის მიმართ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ჯერ არ შეუქმნია ციფრული საცავი (ან ელექტრონული არქივი). ევროპული ბიბლიოთეკები მხოლოდ ახლა იწყებენ ამ საქმიანობას. ამიტომ ჩვენ გვაქვს შანსი მათ დონეზე ვაწარმოოთ ეს მნიშვნელოვანი მიმართულება, თუ დროზე მოვიწვევთ ჩვენთან მათ სპეციალისტებს ცოდნის გასაზიარებლად.

მანამდე, სანამ 2004 წელს არ დავენერგეთ ციფრული ბიბლიოთეკის გრინსტოუნის პროგრამული უზრუნველყოფა, გაციფრებულ მასალას მეტამონაცემებს არ ვაწერდით. გრინსტოუნში გამოყენებულია მარტივი დაბლინკორი (15 ელემენტი), “ევროპულ ბიბლიოთეკაში” გამოყენებული დაბლინ კორის მნიშვნელოვნად გაფართოებული საბიბლიოთეკო პროფილი. მეტამონაცემები უნდა შეიცავდეს როგორც ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას, ასევე დაცვისა და სტრუქტურულ ინფორმაციას. დაცვის მეტამონაცემები აღწერენ დაცვისა და შენახვის პირობებს, ხოლო სტრუქტურული მეტამონაცემები საშუალებას იძლევა მომავალში, ნებისმიერი ტექნოლოგიური ცვლილებების მიუხედავად, აღდგენილ იქნეს ციფრული მასალა გამოყენების მიზნით ახალ ტექნოლოგიურ გარემოცვაში. გრძელვადიანი ციფრული დაცვის მიმართ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს შეუფერხებელი წვდომა დაცულ ციფრულ მასალასთან საავტორო უფლებების გათვალისწინებით. წვდომის პრობლემა ტექნოლოგიურად წყდება ორი გზით: ციფრული მასალის გადატანით ახალ პროგრამაში ან ძველი პროგრამის იმიტაციით ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაში. ჯერ-ჯერობით ორივე მიდგომაა გამოყენებული, ორივეს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ორივე მიმართულებით მიმდინარეობს საერთაშორისო, კოოპერაციული კვლევები. ევროპაში დაწყებულია ციფრული დაცვის რამდენიმე პროექტი. მათი განხორციელების პროცესში გამოიყენება სახელმძღვანელოები, სასწავლო ვებ-საიტები და ჩატარდება ტრენინგები. ბუნებრივია, ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა ამ სახელმძღვანელოების მიღება და ჩვენი წარმომადგენლების გაგზავნა ასეთ ტრენინგებზე.

“ევროპულ ბიბლიოთეკაში” <http://www.theeuropeanlibrary.org/portal/index.html> დღეისათვის ინტერფეისის ენის გამოცვლა და ძებნა შესაძლებელია 16 ევროპულ ენაზე, როგორც ელექტრონულ კატალოგებში ასევე, ციფრულ კოლექციებში. ამ თექვსმეტიდან რომელ ენაზეც არ უნდა აკრიფოდ შეკითხვა, ძებნა ტარდება ყველა დანარჩენ 15 ენაზეც და შედეგებიც გამოდის ყველა თექვსმეტივე ენაზე. საკლასიფიკაციო სისტემად “ევროპულ ბიბლიოთეკაში” გამოყენებულია დიუის ათობითი კლასიფიკაცია. ევროპული ეროვნული ბიბლიოთეკების უმეტესობა იყენებს დიუის ათობით კლასიფიკაციას და MARC21-ს. გერმანიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, მიუხედავად იმისა რომ იგი უკვე წარმოდგენილია „ევროპულ ბიბლიოთეკაში», თარგმა დიუის ათობითი კლასიფიკაცია გერმანულად და დასახა გეგმა MARC21-ზე გადასასვლელად. ამდენად ჩვენც უნდა მივბაძოთ გერმანიის ეროვნულ ბიბლიოთეკას „ევროპულ ბიბლიოთეკაში» ჩვენი ელექტრონული კატალოგებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის წარმატებით შესასვლელად.

„ევროპულ ბიბლიოთეკის» პორტალი არის CENL-ის მთავარი პროდუქტი, რომელსაც იგი ინახავს თავისი ფულით და ცდილობს, რომ იგი გახდეს მოდელი ევროპის ყველა ეროვნული ბიბლიოთეკისთვის. „ევროპულ ბიბლიოთეკის» ანგარიშში CENL-ის მიმართ დასახულია “ევროპულ ბიბლიოთეკის” უახლოესი ამოცანები:

- გაციფრებული მასალის გატეხსტება;
- OAI PMH სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა ევროპულ ეროვნულ ბიბლიოთეკებში;
- პორტალის გამოყენებადობის გაუმჯობესება;
- ავტომატური გადასახვების დანერგვა მრავალენოვან საგნობრივ თეზაურუსში;

- ვებ-მომსახურების გაფართოება;
- მომსახურების პერსონალიზაციისა და ანოტირების სამსახურის დამატება.

ყველა მონაწილემ აღიარა, რომ “ევროპულ ბიბლიოთეკა” იქნება “ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის” (რომელსაც აფინანსებს ევროკომისია) მთავარი კოორდინატორი და შემსრულებელი.

გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ქ-ნა ელიზაბეთ ნიგემანმა (Elisabeth Niggemann) წარმოადგინა ანგარიში მრავალენოვანი საგნობრივი წვდომის (MACS – Multilingual Access to Subjects) პროექტის შესახებ. ამ პროექტში მონაწილეობენ ბრიტანეთის ბიბლიოთეკა (რომელიც იყენებს კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივ რუბრიკატორს), საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, გერმანიისა და შვეიცარიის ეროვნული ბიბლიოთეკები. დამყარდა ურთიერთგაგებად გადასვლები ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ რუბრიკატორებს შორის, რუბრიკატორებსა და საკლასიფიკაციო სისტემებს UDC-სა და DDC-ს შორის. შვეიცარიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ასევე თარგმა გერმანული რუბრიკატორი ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა სხვა მრავალენოვან პროექტებზე: MSAC – Multilingual Subject Access to Catalogues of National Libraries; Interoperability between subject headings and classification systems; Interoperability between different thesauri and subject indexing tools და სხვ. ალბათ ჩვენთვის ზედმიწევნით სასარგებლო იქნებოდა შვეიცარული სამენოვანი რუბრიკატორის თარგმნა ქართულად (და შესაძლოა, რუსულად) ისევე როგორც, კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორის (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რუბრიკატორის) თარგმნა. ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ ქართული დოკუმენტები ძებნებადი და ხელმისაწვდომი გახდებოდა მსოფლიოს არაქართულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის.

კონგრესის ბიბლიოთეკის უფროსი მრჩეველის ჯონ ვან ოუდენარენის (John van Oudenaren) მოხსენებაში განხილული იყო კონგრესის ბიბლიოთეკის ინიციატივა **მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის** შექმნის შესახებ. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნას გააჩნია რამდენიმე წინაპირობა: 1. მსოფლიოში გაციფრებული მასალა არ არის საკმარისი რაოდენობის. ამ მხრივ ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის შექმნა მნიშვნელოვნად შეავსებს დანაკლისს, მაგრამ განვითარებადი ქვეყნების მასალების გაციფრება ისევ დარჩება პრობლემური; 2. დიდი სამეცნიერო და კულტურული ღირებულების მასალები, რომლებსაც დიდი ხნით შეუძლიათ შეაჩერონ მომხმარებლების ყურადღება საიტზე, საერთო გაციფრებულ მასალასთან მიმართებაში, კიდევ უფრო ნაკლებია; 3. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა უნდა იყოს საკმარისად დიდი მოცულობის, ისე რომ მომხმარებლის ნებისმიერ შეკითხვაზე გასცეს რამდენიმე ავტორიტეტული გაციფრებული მასალა; 4. ელექტრონული დოკუმენტების კატალოგიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და შესაძლოა მათ დასჭირდეთ მეტი მეტამონაცემების მიწერა, ვიდრე დღეს არის პრაქტიკულად გავრცელებული. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა რამდენიმე ზოგადი გადაწყვეტილება: 1. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა განთავსებული იქნება ერთ ინტეგრირებულ საიტზე, რომელსაც ექნება სარკეები სხვადასხვა ქვეყნებში; 2. იგი იუნდა გახდეს ფართოდ მიმოფანტული საინფორმაციო წყაროების „ყოველმხრივ სანდო ციფრული საცავი“; 3. მასალების ციფრული გამოსახულებები შეიძლება განთავსებული იყოს არა მხოლოდ მსოფლიო

ციფრულ ბიბლიოთეკასა და მის სარკეებში, არამედ ნებისმიერი დონის სანდო ვებ-საიტებზე; 4. მრავალენოვანი ძეგლი და მოძიებული მრავალენოვანი მასალების დისპლეიზე გამოტანა იქნება პროექტის ძირითადი ელემენტი, რომელიც პროექტში თავიდანვე არის ჩადებული და ნაბიჯ-ნაბიჯ იქნება განხორციელებული; 5. უნდა განისაზღვროს მეცნიერებისა და სპეციალისტების ნუსხა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მასალის შერჩევაზე მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკისთვის. გარდა ამისა უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს ცალკეულ მეცნიერებს, ქვეყნებს, ბიბლიოთეკებს და სხვებს მნიშვნელოვანი შინაარსის მასალა ან დაუმატოს ან დაუკავშიროს მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკას.

კონგრესის ბიბლიოთეკა მიესალმება ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის შექმნას და მზად არის მასთან თანამშრომლობისთვის. კონგრესის ბიბლიოთეკას კარგად ესმის ევროპული ციფრული ბიბლიოთეკის შექმნის სიძნელე და ამიტომ იგი რეალისტურად აფასებს ევროპული ბიბლიოთეკების მონაწილეობის შესაძლებლობას მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის პროექტში.

ყოველშემთხვევაში დასაწყისში, მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის მთავარი მიმართულება იქნება განვითარებადი ქვეყნები, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და მათი ნაწილები.

ამ ზოგადი მოსაზრებების გარდა კონგრესის ბიბლიოთეკა მზადაა გაუზიაროს იდეები, ტექნოლოგიები და მასალები ევროპულ ციფრულ ბიბლიოთეკას. რადგან მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის გეგმის შედგენის პროცესი ზუსტად ამჟამად მიმდინარეობს, წინადადებები კოოპერაციის შესახებ შეძლება განხილულ და ჩართულ იქნას გეგმაში ამ ადრეულ ეტაპზე.

ამგვარად, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას თანამედროვეობის ერთი-ერთი უმთავრესი ამოცანაა აქვს გადასაჭრელი: ქართული დოკუმენტური კულტურული მემკვიდრეობა იქნას ჩართული “ევროპულ ბიბლიოთეკაში”, “ევროპულ ციფრულ ბიბლიოთეკაში” და “მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკაში”. ამ უძნელეს ამოცანებს ჩვენ ვერ მოვერევით სახელმწიფო სტრუქტურების, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელების, ქართული საზოგადოების და დასავლეთის სპეციალისტებისა და დონორების მხარდაჭერის გარეშე.

2006-10-12



## შრომების სრული ნუსხა

1. Чхенкели Т.И. Некоторые логические аспекты документальных ИПС // Тезисы докладов II республиканской конференции молодых научных работников и специалистов по НТИ и информационному обеспечению АСУ. – Тбилиси, 1975. – с.3
2. Чхенкели Т.И. Формальное представление дескрипторных информационно-поисковых языков // НТИ. сер.2. – 1977. – №6. – с.27-29.
3. Чхенкели Т.И. Аксиоматический подход к описанию дескрипторных информационно-поисковых языков // НТИ. сер.2. – 1978. – №6. – с.22-24.
4. Чхенкели Т.И. Об аксиоматическом подходе к описанию дескрипторных информационно-поисковых языков // Семиотика и информатика. – 1979. – вып.12. – с.208-211.
5. Чхенкели Т.И., Финн В.К. О логической структуре дескрипторных ИПС некоторого класса // Семиотика и информатика. – 1979. – вып.13. – с.205-207.
6. Чхенкели Т.И. О формализации дескрипторных информационно-поисковых систем средствами многосортных логик // Семиотика и информатика. – 1980. – вып.14. – с.32-43.
7. Чхенкели Т.И., Иванченко Ю.В. Использование пакетов прикладных программ АСПИД и АСОД для обработки баз данных ИНПАДОК // Тезисы докладов II школы-семинара Интерактивные системы. 20-25 февраля 1980 г. Боржоми. – Тбилиси, 1980. – с.203-207.
8. Чхенкели Т.И. Реляционные базы данных с точки зрения языка логики первого порядка // Тезисы докладов II школы-семинара Интерактивные системы. (20-25 февраля 1980 г. Боржоми). – Тбилиси, 1980. – с.208-211.
9. Чхенкели Т.И., Иванченко Ю.В., Шатберашвили О. Б., Чобанян Л. А. Использование баз данных ИНПАДОК и КАПРИ для патентных и патентно-конъюнктурных исследований // Тезисы докладов всесоюзной конференции системы обмена научно-технической информации на магнитных лентах (Москва, 26-30 ноября 1980 г.). – Москва, 1980. – с.131-132.
10. Чхенкели Т. И., Джапиашвили Ц. Р. Автоматизированная система научно-технической информации Грузинской ССР. – Тбилиси: ГрузНИИНТИ, 1980. – 6 с.
11. Чхенкели Т. И., Йорх Г. Г. Перспективы использования баз данных ИНПАДОК и КАПРИ в АСНТИ Грузинской ССР. – Тбилиси: ГрузНИИНТИ, 1980. – 7 с.
12. Chkhenkeli T. On the many-sorted approach to information-retrieval systems // Mathematical Logic in Computer Science. – North-Holland. P.C. Amsterdam: 1981. – p. 275-288.
13. Чхенкели Т. И. Реляционное описание баз данных ИНПАДОК и КАПРИ // Тезисы докладов III школы-семинара Интерактивные системы. (15-21 марта 1981 г., г.Боржоми). – Тбилиси: Мецниереба, 1981. – с.223-226.
14. Чхенкели Т. И. К определению языка первого порядка для реляционных баз данных // НТИ. сер.2. – 1981. – №5. – с.5-11.
15. Чхенкели Т.И., Шатберашвили О. Б., Чобанян Л. А. Некоторые вопросы создания математического обеспечения системы ретроспективного поиска // Тезисы докладов семинара Системные исследования ГАСНТИ (Душанбе, 27-30 октября 1981 г.). – Москва, 1981. – с.161.
16. Чхенкели Т. И. Структура запроса в автоматизированных системах научно-технической информации // Тезисы докладов IV школы-семинара Интерактивные системы. (10-19 мая 1982 г., г.Сухуми). – Тбилиси: Мецниереба, 1982. – с.283-284.

17. Чхенкели Т.И. Концептуальное описание документальных автоматизированных информационно-поисковых систем // Тезисы докладов семинара Системные исследования ГАСНТИ (Тбилиси, 23-26 ноября 1982 г.). – Москва, 1982. – с.11.
18. Чхенкели Т.И., Чобанян Л. А., Мания М. Создание ретроспективных баз данных в ГрузНИИНТИ // Тезисы докладов конференции Проблемы развития и совершенствования республиканской системы научно-технической информации. – Баку, 1981. – с.90-93.
19. Чхенкели Т.И. О языке поисковых предписаний ППП ПОИСК-1 // Тезисы докладов всесоюзного семинара Системные исследования ГАСНТИ (Кишинёв, 21-23 июня 1983 г.). – Москва, 1983. – с.81-83.
20. Чхенкели Т.И. Индуктивное определение поискового предписания в ИПС // Тезисы докладов школы-семинара Семиотические аспекты формирования интеллектуальной деятельности (г.Телави, 29 октября – 6 ноября 1983 года). – Москва, 1983. – с. 142-144.
21. Чхенкели Т. И. Сравнение языков запросов пакетов прикладных программ АИДОС и ДИАЛОГ // Тезисы докладов VI школы-семинара Интерактивные системы. (28 мая – 2 июня 1984 г., г.Батуми). – Тбилиси: Мецниереба, 1984. – с.23-26.
22. Чхенкели Т.И., Чхенкели Л. И., Шатберашвили О. Б. Пути взаимодействия системы НТИ и библиотечной сети в Грузинской ССР // Тезисы докладов республиканской школы-семинара для работников республиканской системы НТИ (Тбилиси, 25-28 сентября 1984 г.). – Тбилиси, 1984. – с.20-23.
23. Чхенкели Т.И., Хадури С. А. Прогноз развития библиотек АН ГССР. – Обзорная информация ГрузНИИНТИ. Сер. 1., вып.16. – Тбилиси, 1984. – 64 с.
24. Чхенкели Т. И. Роль АСНТИ в автоматизации библиотечно-библиографических процессов в республике // Научные и технические библиотеки СССР. – 1985. – № 8. – с.24-26.
25. Чхенкели Т.И., Шатберашвили О. Б. Компоненты документальных информационно-логических систем // Тезисы докладов школы-семинара Системные и прикладные аспекты диалога на персональных ЭВМ (г.Гагра, 20-26 октября 1985 г.). – Тбилиси: Мецниереба, 1985. – с.109-110.
26. Chkhenkeli T., Shatberashvili O. Automatizacia kniznicnych procesov v Gruzinskoj SSR // Kniznice a vedecke Informacie-17. – 1985. – N6. – с. 281-285.
27. Chkhenkeli T. Srovnacni charakteristika scuboru aplikacnich programs DIALOG-2, CDS/ISIS/EC a MINISIS // Kniznice a vedecke Informacie-18. – 1986. – N2. – с. 53-58.
28. Чхенкели Т. И., Иванченко Ю. В., Тедиашвили И. В., Харатишвили Г. Р. Использование баз данных ГАСНТИ для подготовки библиографических пособий в библиотеках ССР // Тезисы докладов республиканской школы-семинара по актуальным проблемам развития республиканской системы НТИ (Батуми, ноябрь, 1987 г.). – Тбилиси, 1987. – с.44-46.
29. Чхенкели Т. И., Джапиашвили Ц. Р., Харатишвили Г. Р. Опыт применения системы автоматического индексирования документов в ГрузНИИНИТИ // Тезисы докладов республиканской школы-семинара по актуальным проблемам развития республиканской системы НТИ (Батуми, ноябрь, 1987 г.). – Тбилиси, 1987. – с.39.
30. Чхенкели Т. И., Чхенкели Л. И., Иванченко Ю. В. Этапы автоматизации ЕРСИФ Грузинской ССР // Тезисы докладов всесоюзного семинара Системные исследования ГАСНТИ (г. Ярославль, октябрь, 1987 г.). – Москва, 1987. – с.138.
31. Чхенкели Т. И. Перспективы автоматизации библиотек Грузинской ССР // Советское библиотековедение. – 1987. - N5. – с. 74-79.
32. Чхенкели Т.И., Шатберашвили О. Б., Харатишвили Г. Р. Факторы, определяющие стратегию поиска в документальных базах данных ИПС // Материалы конференции ДИАЛОГ-87 (Тбилиси, 1-5 декабря 1987 г.). – Тбилиси, 1988. – с.83-84.

33. Немет Г. К., Чхенкели Т.И., Шатберашвили О. Б. Региональные системы научной и технической информации // Международный форум по информации и документации. – 1988. – т.13, № 3. – с. 8-13.
34. Чхенкели Т. И., Чхенкели Л. И., Шатберашвили О. Б. Информационные ресурсы автоматизированной системы НТИ Грузии // Научные и технические библиотеки СССР. – 1988. – № 9. – с.22-29.
35. Чхенкели Т.И., Шатберашвили О. Б., Харатишвили Г. Р. О стратегиях поиска в документальных базах данных РАСНТИ ГрузССР // Труды республиканской конференции Проблемно-ориентированные диалоговые системы (Батуми, 25-28 октября 1988 г.). – Книга 1. - Тбилиси, 1988. – с.141-145.
36. Чхенкели Т. И., Чхенкели Л. И., Иванченко Ю. В., Крацашвили Г. Автоматизированные услуги ГрузНИИНТИ библиотекам республики ССР // Тезисы докладов республиканской школы-семинара по актуальным проблемам развития республиканской системы НТИ (Батуми, 1-5 ноября, 1988 г.). - Часть 4. – Тбилиси, 1988. – с.10-11.
37. Чхенкели Т. И., Иванченко Ю. В., Тедиашвили И. В., Шатиришвили Г. Т. О проекте первой очереди автоматизированной информационно-библиотечной системы ГГРТБ им. Г. Ш. Микеладзе // Тезисы докладов республиканской школы-семинара по актуальным проблемам развития республиканской системы НТИ (Батуми, 1-5 ноября, 1988 г.). - Часть 4. – Тбилиси, 1988. – с.22-23.
38. Чхенкели Т.И., Шатберашвили О. Б. Концепция развития РАСНТИ // Тезисы докладов республиканской школы-семинара по актуальным проблемам развития республиканской системы НТИ (Батуми, 1-5 ноября, 1988 г.). - Часть 3. – Тбилиси, 1988. – с.62-63.
39. Чхенкели Т.И., Шатберашвили О. Б. Системный анализ функций РАСНТИ и РАББС // Тезисы докладов всесоюзного семинара Системные исследования ГАСНТИ (г. Вильнюс, 30 мая-1 июня 1989 г.). – Москва, 1989. – с.170-172.
40. Чхенкели Т.И., Шатберашвили О. Б. Эскиз концепции развития республиканской АСНТИ // НТИ. Сер.1. – 1989. - №5. – с. 5-10.
41. Чхенкели Т. И. Классификация ИПЯ по отношению порядка // Тезисы докладов республиканской школы-семинара по актуальным проблемам развития республиканской системы НТИ (Тбилиси, декабрь, 1989 г.). – Тбилиси, 1989. – с.31.
42. Чхенкели Т.И., Шатберашвили О. Б. РАСНТИ Грузинской ССР за 15 лет // Тезисы докладов республиканской школы-семинара по актуальным проблемам развития республиканской системы НТИ (Тбилиси, декабрь, 1989 г.). – Тбилиси, 1988. – с.31-35.
43. ჩხენკელი თ. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარების საწინდარი // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. - #219 (1 ნოემბერი). – გვ.3
44. Чхенкели Т. И. Концепция государственной библиотечно-информационной системы Республики Грузия // Научные и технические библиотеки. – 1994. – № 7. – с.34-47.
45. Chkhenkeli T. Interlending and document supply in Georgia // Document supply in Eastern Europe. 3<sup>rd</sup> Interlending and Document Supply International Conference. (Budapest. 30-31 March 1993). – Budapest, 1994. – p. 35-41.
46. Чхенкели Т. Библиотечная система и управление государством // Свободная Грузия. – 1996, 10 января. - №3(931). – с.1, 3.
47. Чхенкели Т. Проблемы автоматизации библиотек Грузии // 3-я международная конференция Крым-96 (Форос, Ялта, Крым, Украина, 1-9 июня 1996. – ГПНТБ России, 1996. – с. 211.

48. Чхенкели Т. Национальная Библиотека Грузии становится Парламентской Национальной Библиотекой // 4-я международная конференция Крым-97 (Судак, Крым, Украина, 7-15 июня 1997. – ГПНТБ России, 1997. – с. 640.
49. ჩხენკელი თ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის კონცეპციის მონახაზი // საქართველო – ამერიკის შეერთებული შტატების II საბიბლიოთეკო კონფერენციის მასალები (თბილისი, 17-19 სექტემბერი 1997). – თბილისი, 1997. – გვ. 52-61.
50. ჩხენკელი თ. ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის შესაძლებლობანი საქართველოში // საქართველო – ამერიკის შეერთებული შტატების II საბიბლიოთეკო კონფერენციის მასალები (თბილისი, 17-19 სექტემბერი 1997). – თბილისი, 1997. – გვ. 61-67.
51. გორგიშელი ი., მჭედლიშვილი დ., ჩხენკელი თ. სტასისტიკური განაწილებები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ზოგიერთ მონაცემთა ბაზაში // საქართველო – ამერიკის შეერთებული შტატების II საბიბლიოთეკო კონფერენციის მასალები (თბილისი, 17-19 სექტემბერი 1997). – თბილისი, 1997. – გვ. 67-76.
52. Chkhenkeli T. Outline of Automation Concept of the National Parliamentary Library of Georgia. In: Conference Proceedings of Georgia – United States of America II Library Conference. – Tbilisi, 1997. - p. 51-59
53. Chkhenkeli T. Challenges of Library Automation Development in Georgia. In: Conference Proceedings of Georgia – United States of America II Library Conference. – Tbilisi, 1997. - p. 59-66
54. Gorgisheli I., Mchedlishvili D., Chkhenkeli T. Statistical Distribution in Some Databases of the National Parliamentary Library of Georgia // Conference Proceedings of Georgia – United States of America II Library Conference. – Tbilisi, 1997. - p. 66-75.
55. Chkhenkeli T. Document Delivery Service in Georgia // South Caucasian Regional Library Conference Proceedings (Tbilisi, 3-5 June 1998). – Tbilisi, 1998. – p. 31-39.
56. Chkhenkeli T. Electronic catalogues and data bases in the national parliamentary library of Georgia // “Preservation and availability” Theses of reports and communications of the research and practical conference (Moscow, Russian State Library, August 10-12, 1998). – Moscow, 1998. – p. 84-85.
57. Chkhenkeli T., Garibashvili I. Implementation of the UNIMARC Format in Georgian Libraries // International Cataloguing and Bibliographic Control. – 1998. – Vol. 27, # 1. – p. 21-24.
58. Картозия А., Чхенкели Т. Доступность публикаций: просто и сложно одновременно // Библиотека. - 1999. - № 6. - с. 72-74
59. Чхенкели Т. Национальная библиотека парламента Грузии как информационный центр // Материалы конференции – Библиотека как информационный центр: новый облик (Ереван, 5-6 мая 1997). – Ереван, 1999. – с.28-42.
60. ჩხენკელი თ., ჩხენკელი ნ. ინტერნეტი: ინფორმაციის ძიება მსოფლიო აბლაბუდაში. – თბილისი, 1999. – 128 გვ. (Chkhenkeli T., Chkhenkeli N. Interent: Information Retrieval in World Wide Web [Contents: 1. Information Systems, 2. Internet Information Services, 3. Basic Concepts of WWW, 4. Dealing with Search Engines and Directories, 5. Browser Netscape Communicator, 6. Search Strategies and Tips]. – Tbilisi, 1999. – 128 p. (in Georgian)).
61. ბერძენიშვილი ლ., ჩხენკელი თ. ავტომატიზაცია და ინტერნეტი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში // საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2003. - № 1. – გვ. 7 – 11.

62. სუხიშვილი მ., ბერძენიშვილი ლ., ჩხენკელი თ., ღარიბაშვილი ი. ინტერნეტის ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შესახებ // ბუნებრივ ენათა დამუშავება: ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები, თბილისი, 16-18 ივნისი 2003: კონფერენციის მასალები. – თბილისი, “ქართული ენა”, 2003. – ტექსტი ქართ. და ინგ. ენ. - გვ. 32-33 (ქართ.), გვ. 79-81 (ინგ.).
63. ჩხენკელი თ. ინტერნეტის ტერმინების თარგმანი ქართულად გამოქვეყნებულ წიგნებსა და ლექსიკონებში // <http://www.nplg.gov.ge/abconferece.pdf>. - 2003.
64. ჯგერენაია, ე., ჩხენკელი, თ., აფრიდონიძე, გ., ვარამიშვილი, გ. ელექტრონული ბიბლიოთეკა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში // ბუნებრივ ენათა დამუშავება: ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. III კონფერენციის მასალები (თბილისი, 29 ივნისი – 1 ივლისი 2005). – თბილისი, “ქართული ენა”, 2005. – ტექსტი ქართ. და ინგ. ენ. - გვ. 37-38 - ქართ., 49-50 - ინგლ.
65. ჩხენკელი თ. საბიბლიოთეკო მეცნიერების ხუთი კანონი // საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2005. - № 3. – გვ. 65-66.
66. აბაშიძე, ზ., ჩხენკელი, თ. ბიბლიოთეკის ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასება // საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2005. - № 4. – გვ. 6 – 10.
67. აბაშიძე, ზ., ჩხენკელი, თ., ჯგერენაია, ე. ციფრული კოლექციების განვითარება საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში // ბუნებრივ ენათა დამუშავება: ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. IV კონფერენციის მასალები (თბილისი, 2006 წლის 5-6 დეკემბერი). – თბილისი, 2006. – ტექსტი ქართ. და ინგ. ენ. - გვ. 5 -8 - ქართ., 26 - 29 - ინგლ.
68. ჩხენკელი, თ. ელექტრონული ბიბლიოთეკები ინტერნეტში (შინაარსი: 1. ინტეროპერაბულობა და სემანტიკური ვები, 2. ევროპული ბიბლიოთეკა და ევროპული ციფრული ბიბლიოთეკა, 3. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა) // მოხსენება კონფერენციაზე „ბუნებრივ ენათა დამუშავება: ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები“ 5 დეკემბერი 2006
69. აბაშიძე, მ., ჩხენკელი, თ. საინფორმაციო ტექნოლოგიები მსოფლიოს ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში // საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკის შრომები. - იბეჭდება
70. ჩხენკელი, თ. ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის ფონდის მე-20 საიუბილეო ყრილობა: სანკტ-პეტერბურგი 2006 // საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკის შრომები. - იბეჭდება, იხ. აგრეთვე: <http://www.nplg.gov.ge/ge/sponsors/CENL.pdf>